

ეროვნული ბიბლიოთეკა




29 ოქტომბერს მოსკოვში გაიხსნა კარლ მარქსის ძეგლი.

# კომუნისტურ პარტიას

**გონდო ალავიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიბრძნეა, შენი, თქმული ყოველთა მიმართ!
— ასე მოითხოვს ეპოქა ჩვენი:
— ბრძმედებთან ვზარდოთ თაობა გმირთა,
— ვაშენოთ ჰესები და ამაღლდეს ჭერი...
— დამოკლდეს მახვილი!

— ეს არის ძახილი და არა მუდარა,
— ეს ხმაა მსოფლიოს, დღევანდელის!..
— მეშახტის სამოსით შევცვალოთ მუნდირი,
— დრო არის დავმალოთ მწუხარი მენალმეთა,
— ყველგან, შეთანხმებით!

შენი ლამაზობს თქმული ყოველთა მიმართ!
— ამოვხსნათ კოსმოსი ვრცელი...
— ვატაროთ სინდისი წმინდად!
— არავის არ ერქვას მკვლელი...
— აკმარეთ აფრიკას ცრემლი,
— სისხლი და ცრემლი!

შენ შეგიძლია ამბობდე ამგვარად,
შენ ხარ პარტია ხალხის,
შიში მომავალზე მიწიდან აღგავე,
ცხოვრებას შენ ჩამოხსენ თალხი...
წინსვლა ხარ,
ძიება ხარ ახლის!

— ვიაროთ წინ და შევჩერდეთ უმთავრესზე,
— ქვეყნად აღარ გაჩნდეს ტყვიის შენახვი...
შენ ამბობ, პარტიავ, და მჯერა, მთვარეზე
ავალთ სიმღერით და სველი ხელადებით,
შენით მომავალი ამგვარად მესახება!

---

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 10 (123) ოქტომბერი, 1961 წ.
გამოცემის XI წელი.
ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

17 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრამდე მოსკოვში მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა, რომელმაც საზეიმოდ გამოაცხადა: საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს!

დედამიწის ყველა კუთხის ადამიანი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, მტერი თუ მოყვარე თხუთმეტი დღე დაძაბული ყურადღებით ადევნებდა თვალს ყრილობის მუშაობას, რომელმაც დასაბამი მისცა პროგრესული კაცობრიობის სანუკვარი ოცნების—კომუნისტური საზოგადოების გაშლილ მშენებლობას.

ამიტომაც უწოდა მას ხალხმა კომუნიზმის მშენებელთა ყრილობა.

ყრილობამ ერთსულოვნად მოიწონა პარტიის პოლიტიკა, მიიღო მისი ახალი პროგრამა და წესდება.


ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა.
ტრიბუნაზეა ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი.

სხდომათა დარბაზში.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომუნიზმის მშენებელთა ყრილობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა, — კომუნიზმის მშენებელთა ყრილობა, უმნიშვნელოვანესი ეტაპია მსოფლიო ისტორიის განვითარებაში. ამ ყრილობამ ჩვენს წინაშე გადაშალა საბჭოთა ქვეყნის შესანიშნავი აწმყოსა და ნათელი მომავლის შთამაგონებელი პერსპექტივები.

ყრილობამ შეაჯამა განვლილ წელთა მანძილზე მოპოვებული გამარჯვებები და დასახა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის დიადი ამოცანები.

მთელი მსოფლიოს მშრომელი ხალხი, ჩვენი ძლევამოსილი სამშობლოს მშრომელებმ მთელი სულითა და გულით შეხვდნენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებებს, რომლებიც გამსჭვალულია შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის შესახებ, წარმტაცი მომავლის მილიონობით მშენებელს ახალი ენთუზიაზმითა და ძალით ავსებს, კომუნიზმის საქმის გამარჯვების რწმენას უნმტკიცებს. პარტიის პროგრამაში ჩაწერილი შესანიშნავი სიტყვები: „საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს", აღაფრთოვანებს ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდასა თუ მოხუცს, და ძალას მატებს მათ დიადი მიზნისათვის ბრძოლაში. ეს მიზანი კი ხომ ახლოა, სულ ახლო, — ჩვენი ხალხის დაძაბული შრომისა და მიღწევების გზაზე, ჩვენი თაობის სიცოცხლის პერიოდში.

რა ვრცელი და ძნელი გზა განვლო მშრომელმა კაცობრიობამ სანუკვარი ოცნების მიღწევამდე!.. რამდენი მგზნებარე ადამიანი შეეწირა უკეთესი მერმისისათვის ბრძოლას!

მარქსისა და ენგელსის მიერ დაარსებული კომუნისტური პარტია პირველხანებში 300 კომუნისტს ითვლიდა. დიადი აზრებით გამსჭვალულ ამ შესანიშნავ რაინდებს ღრმად სწამდათ, რომ კომუნიზმის ცხოველმყოფელი იდეები თანდათან დაიპყრობდნენ ადამიანთა გულებს და აღაგზნებდნენ მშრომელი ხალხის მტრებთან ბრძოლაში. იზრდებოდა კომუნისტთა რიგები, მწვავდებოდა კლასობრივი ბრძოლები და აი, 1917 წლის ოქტომბერმა მსოფლიოს ამცნო ჩვენს ქვეყანაში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ბრწყინვალე გამარჯვება, ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის მშენებლობის დაწყება.

კომუნისტურმა პარტიამ თავის გზაზე, განვითარების ეტაპების შესაბამისად, თავისი პროგრამები ჩამოაყალიბა. 1903 წელს პარტიის მეორე ყრილობამ დასახა ცარიზმის დამხობის, მემამულეთა და კაპიტალისტთა ჩაგვრისაგან რუსეთის ხალხების განთავისუფლების დიადი ამოცანა. ბოლშევიკების გმირმა პარტიამ, დიდი ლენინის ხელმძღვანელობით, თავის გარშემო დარაზმა ჩვენი ქვეყნის მუშათა და გლეხთა მასები, გაბედულად გაუძღვა მათ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იერიშის მისატანად.

ოქტომბრის რევოლუციამ დაამხო მემამულურ-კაპიტალისტური წყობილება და ჩვენი ქვეყანა სოციალისტური მშენებლობის გზაზე დააყენა.

ასე წარმატებით შესრულდა პარტიის პირველი პროგრამა.

1919 წელს, სამოქალაქო ომის მძიმე პერიოდში, პარტიის მერვე ყრილობამ მიიღო სოციალისტური საზოგადოების აშენების პროგრამა, დასახა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოციალისტურ საწყისებზე სოფლის მეურნეობის გარდაქმნისა და ფართო კულტურული რევოლუციის განხორციელების ამოცანები.

ორმოცდაორი წელიწადი გავიდა ამ ისტორიული დღეებიდან. საბჭოთა ქვეყანამ სამხედრო განსაცდელთა დიდი ქარიშხლები გამოიარა, სძლია იმპერიალისტური ქვეყნების კოალიციებს, რომლებიც ლამობდნენ სისხლში ჩაეხშოთ ჩვენი სახელმწიფოს ძლევამოსილი სვლა კომუნიზმის გზაზე.

კომუნისტური პარტიის ნებითა და საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომით ღატაკი და უბადრუკი ქვეყანა გადაიქცა უდიდეს ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, რომელიც კოსმიურ სივრცეებში გზავნის მძლავრ ხომალდებს. დაქუცმაცებულმა გლეხურმა მეურნეობებმა ადგილი დაუთმეს პირველხარისხოვანი ტექნიკით აღჭურვილ მსხვილ კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებს. იმ ადამიანთა წრიდან, რომელთა ხვედრი წინათ წერა-კითხვის უცოდინარობა იყო, მილიონობით ნიჭიერი ფიზიკოსი და ქიმიკოსი, ინჟინერი და კონსტრუქტორი, ექიმი და მასწავლებელი, მწერალი და ხელოვანი აღიზარდა. სოციალიზმმა ჩვენს ქვეყანაში მთლიანად და საბოლოოდ გაიმარჯვა.

კოსმონავტი მფრინავი გ. ტიტოვი ესაუბრება საქართველოს დელეგატებს.



ყრილობის დელეგატები: ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ე. დოლინიუკი და ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე პ. შევარდნაძე.





ამხანაგები კ. ტ. მაზუროვი და ვ. პ. მჟავანაძე ყრილობის დელეგატთა შორის.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრილობის დელეგატები შესვენების დროს.

კომუნისტური პარტიის მეორე პროგრამა ღირსეულად განხორციელდა. ჩვენი ქვეყნის დიადმა მაგალითმა ალაფრთოვანა მსოფლიოს ხალხები. სოციალიზმი გასცდა საბჭოთა ქვეყნის ფარგლებს, დედამიწაზე არსებობს და მტკიცდება მსოფლიო სოციალისტური სისტემა, თავისუფალ ხალხთა ძმური თანამეგობრობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი, მესამე პროგრამა, რომელიც ერთსულოვნად მიიღო პარტიის ოცდამეორე ყრილობამ, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პროგრამაა. პარტიის უმაღლესი მიზანია ააშენოს კომუნისტური საზოგადოება, რომლის დროშას აწერია: „თვითეულისგან — უნარის მიხედვით, თვითეულს — მოთხოვნილების მიხედვით“. ახალი პროგრამა, ანზოგადებს რა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობისა და მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის მდიდარ გამოცდილებებს, სახავს კომუნისტური საზოგადოების აშენების კონკრეტულ გზებს. ეს არის ზედმიწევნით მეცნიერული დოკუმენტი, რომლის შემუშავება შესაძლებელი გახდა იმ დიდი და ნაყოფიერი თეორიული მუშაობის საფუძველზე, რომელიც გაჩაღდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული მეოცე ყრილობის შემდეგ.

პარტიის ახალ პროგრამას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ეს არის მშვიდობისა და შრომის პროგრამა. ადამიანები თაობიდან თაობას გადასცემენ ოცნებას უკეთეს ცხოვრებაზე, ბედნიერებაზე, თავისუფალ და შემოქმედებით შრომაზე. გარდასულ საუკუნეთა კაცობრიობის საუკეთესო შვილები ზიზღით უცქერდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების უსამართლობასა და მანკიერებას, აგებდნენ გონებისა და სამართლიანობის საწყისებზე ადამიანთა საზოგადოების გარდაქმნის გეგმებს, ხატავდნენ საყოველთაო ბედნიერებისა და კეთილდღეობის მომხიბლავ სურათებს. ეს გეგმები უტოპიური იყო, ეს პროექტები — ფანტასტიკური. მარქსმა და ენგელსმა ამ ოცნებებს მეცნიერული საფუძველი ჩაუყარეს და კაცობრიობას თავისუფლების ერთადერთი სწორი გზა დაუსახეს. დიდი ლენინის მიერ შექმნილმა საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ ამ გზით წაიყვანა ჩვენი ქვეყანა და იგი დღეს ძლევამოსილად მიაბიჯებს კომუნიზმისაკენ, რომლის დიადი პანორამა სულ ახლო და ფართოდ იშლება ჩვენს წინ...

პარტიის ახალი პროგრამის საერთაშორისო მნიშვნელობა ის არის, რომ კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული გეგმების განხორციელებას იგი უკავშირებს მტკიცე და ხანგრძლივ მშვიდობას. ომების მოსპობა, ურყევი მშვიდობის დამკვიდრება დედამიწაზე — კომუნიზმის ისტორიული მისიაა. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის გენერალური პრინციპი იყო, არის და იქნება მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპი.

„ჩვენი მარქსისტულ-ლენინური პარტია, რომელიც წარმოიშვა როგორც მუშათა კლასის პარტია, მთელი ხალხის პარტია გახდა, — თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ყრილობაზე, — ამით გამოიხატება მონოლითური ერთიანობა და ძლიერება საბჭოთა საზოგადოებისა, რომელიც შეკავშირებულია ინტერესების და მსოფლმხედველობის ერთიანობით. ყოველთვის, მაშინაც, როცა მზე კაშკაშებს და მაშინაც, როცა მოღრუბლულია, გამარჯვების დღეებში და სერიოზული განსაცდელის დღეებშიც პარტია ხალხთან არის და ხალხი პარტიასთან“. ეს სიტყვები თავის უდიდეს აზრს და გამოხატულებას პოულობენ ყოველგან, ყოველთვის, და ყრილობის მიერ ფრაქციული, ანტიპარტიული ჯგუფის ერთსულოვანი დაგმობაც ამის მკაფიო გამოხატულებაა.

საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა წარმომადგენლებმა, რომლებიც ყრილობაზე გამოვიდნენ, ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალ პროგრამას, რომელიც მომავლის მანათობელ მზედ კაშკაშებს.

ჩვენი რესპუბლიკა, მზიური საბჭოთა საქართველო, მტკიცედ დგას ჩვენი დიადი სამშობლოს რესპუბლიკათა მოწინავე რიგებში. საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, საქართველოს კომუნისტთა 220 ათასიანი არმია მჭიდროდაა შეკავშირებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო. საქართველოს კომუნისტების, მთელი ქართველი ხალხის აზრი და მისწრაფება ასე გამოთქვა თავის სიტყვაში პარტიის XXII ყრილობაზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ: „საქართველოს კომუნისტები და ყველა მშრომელნი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით არ დაიშურებენ ძალღონეს, რომ განახორციელონ ყრილობის გადაწყვეტილებანი, განახორციელონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამა“.

ყრილობის დელეგატები ერთმანეთს უზიარებენ შთაბეჭდილებებს.





**გ. ლეონიძე,**
პოეტი-აკადემიკოსი.

—უდიდესი სიხარული და აღტაცება ერთი წინადადებით გამოიხატება: საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა კომუნიზმის დროს იცხოვრებს!



**ლ. მეტრეველი,**
მეფოლადე.

—პარტიის XXII ყრილობა მთელი საბჭოთა ხალხის ფიქრებისა და სურვილების, პერსპექტივების და მისწრაფებების ნათელი დემონსტრირებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**თ. აბულაძე,**
კინორეჟისორი.

— პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებები დიდებულ პერსპექტივებს სახავს ხელოვნების მუშაკთა წინაშე. ჩვენი ამოცანაა სრულყოფილად ავსახოთ ძლევამოსილი საბჭოთა ხალხის ცხოვრება.



**ა. იზორია,**
სტუდენტი.

—კომუნიზმი ჩემი თაობის დავაჟკაცების ეპოქაა, ვისწავლოთ და ვიცხოვროთ ისე, როგორც ამ დიდ ეპოქას შეეფერება.






ახალი გაზეთები

რადიო
გადმოსცემს
ყრილობის
მასალებს



# დელეგატები

## შრომის შარავანდედი

შარშან ვერა სობოლევას დედა გარდაიცვალა. უკანასკნელ წუთებში მშობელს გულში ჩაეკრა შვილის ხელი და ჩურჩულით უბარებდა:

— არ შეგეშინდეს, მარტო არ იქნები, ჩვენიანები მუდამ გვერდში გეყოლებიან, თუ შენი საქმე და ახლობლები გეყვარება, იცოდე, თავადაც არ მოგაკლდება სიყვარული და მზრუნველობა.

გამოუცდელმა ქალიშვილმა მაშინ კარგად ვერც გაიგო ვისზე ელაპარაკებოდა დედა. მამა უკვე დიდი ხანია არ ჰყავდა, უფროსი დები გათხოვდნენ და თავიანთი გზით წავიდნენ. დედაშვილიღა შერჩნენ ერთმანეთს. თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატში მუშაობდნენ, იქვე ცხოვრობდნენ კომბინატის საერთო საცხოვრებელში. ახლა დედა სამუდამოდ ემშვიდობება. რა ქნას მარტო დარჩენილმა ვერამ, ასე ახალგაზრდამ და გამოუცდელმა?!

როცა უკანასკნელ გზაზე გააცილა დედა და შინ დაბრუნდა, გული შეუკუმშა დედის ცარიელი საწოლის დანახვამ. ლოგინზე დამხობილმა ვერამ მხარზე ნაზი შეხება იგრძნო, ვილაც იჯდა მის საწოლთან და ალერსით უსვამდა ხელს. დედური სითბო ჰქონდა მარო მჭედლიშვილის ხელებს, იქვე იყვნენ როზა კიკნაძე და მერი გოგიძე.

— შეიძლება დედის საწოლი დავიკავო შენს გვერდით? — მორიდებით ჰკითხა მარო მჭედლიშვილმა, და ვერა სობოლევას გულში იმ დღიდან რაღაც ნათელმა შემოანათა, მარტოობისა და უთვისტომობის ნაღვლიანი გრძნობა სამუდამოდ ჩაიფერფლა.

არა, ის მარტო არ არის, მართალს ამბობდა დედა! აი თურმე ვის გულისხმობდა იგი, როცა ეუბნებოდა „ჩვენიანებიო“.

მართლაცდა, უმეგობრებოდ აბა რა იქნებოდა მისი ცხოვრება? მათი იმედი და სიყვარული აძლევს შინაარსს მის არსებობას, ამ სიყვარულით მოიხვეჭა მან, ოცდასამი წლის ქალიშვილმა, საქვეყნო სახელი.

„ჩემიანები“, — დედასავით ამბობს ახლა ვერა სობოლევა და ამ ძვირფას სიტყვაში მშობლიურ კომბინატსა და იქაურ ამხანაგებს გულისხმობს. მათი სახელით იბრძვის და იმარჯვებს შრომაში, მათი სახელით გამოვიდა ამას წინათ თბილისის პარტიულ კონფერენციაზე, სადაც დელეგატად იყო წარგზავნილი, გამოვიდა და თავისი წმინდა, ძარღვიანი ქართულით მოხიბლა და აღაფრთოვანა მსმენელები. ვერა ლაპარაკობდა იმ სიხარულზე, იმ ტკივილებზე, რაც მას და მის ამხანაგებს აღელვებთ. მუშათა საბინაო პირობების გაუმჯობესებაზე მეტი მზრუნველობა გვჭირდებაო, კომბინატის საბავშვო ბაღები და ბაგები დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნებს უკვე ვეღარ აკმაყოფილებენო...

შემდეგ კომბინატის მთელი კოლექტივის სახელით მონაწილეობდა იგი საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის მუშაობაში, მათივე სახელით დელეგატად გაემგზავრა მოსკოვს პარტიის XXII ისტორიულ ყრილობაზე.

ერთი უბრალო და ტანმორჩილი გოგონაა ვერა სობოლევა, ერთი შეხედვით იქნებ ვერ მიიქციოს თქვენი ყურადღება, მაგრამ როცა სართავ მანქანასთან დგას, მთელი მისი არსება რაღაცნაირი შარავანდედით იმოსება. ისე კოხტად ჩაუქროლებს თითისტრებს, ისე სწრაფად და მოხდენილად მოძრაობენ მისი თითები, ისე მკვირცხლი და მომხიბვლელია ქალიშვილის ყოველი მოძრაობა, შეუძლებელია გაოცებული არ შედგე მის წინაშე და აღტაცებით არ წამოიძახო — „ბარაქალა შენს მარჯვენას!“

ვერა სობოლევას მუშაობას რომ უყურებთ, მთელი სიმძაფრით გრძნობთ შრომის მომხიბვლელობას, და ალბათ თვით მეცნიერებიც და გამომგონებლებიც ვერ შეიკავებენ თავს რომ არ აღიარონ, თუ ოდესმე ხერთავი მანქანები შეძლებენ ადამიანის დაუხმარებლად აკეთონ თავიანთი საქმე, მაშინ სილამაზე მოაკლდება შრომას.

## ხელმადლიანი ოსტატი

ერთი უცხოელი, რომელმაც ამ გაზაფხულზე თბილისის ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა დაათვალიერა, განცვიფრდა, როცა შალვა ომანაძემ უთხრა, 88 წელია ამ საწარმოში ზეინკლად ვმუშაობო.

— როგორ, ნუთუ არ მოგბეზრდათ ერთი და იმავე ქარხანაში ერთი და იმავე სამუშაოზე ამდენხანს ყოფნა?

— სრულიადაც არა! — მხრები აიჩეჩა შალვამ.

მაშინ სტუმარს ვერ შეჰკადრა, მაგრამ როცა იგი წავიდა, ომანაძემ ამხანაგებს უთხრა:

— იცით რატომ გაუკვირდა ამ ამერიკელს ქარხანაში ჩემს ხელობას რომ შევაბერდი? მაგან არ იცის რა არის საქმისადმი სიყვარული. თუ კარგად იცი რას აკეთებ, თუ შენი საქმე გიყვარს და გიზიდავს, მობეზრება რას მიქვია! პირიქით, დროთავითარებაში კაცი უფრო ეთვისება და ესისხლხორცება თავის სამუშაოს.

სწორედ ამ სიყვარულმა აქცია შალვა ომანაძე თავისი საქმის დიდოსტატად. დიახ, იგი ნამდვილი დიდოსტატი ამწყობი ზეინკალია. დღეს მას იცნობენ არა მარტო ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში, არა მხოლოდ თბილისსა და საქართველოში, არამედ მოსკოვისა და ლენინგრადის საწარმოებშიც. შალვა არა ერთხელ მიუწვევიათ იქ ურთულესი მანქანების აწყობისა და გამოცდისათვის.

გასაოცარი ხელი აქვს ამ კაცს. ინჟინრებს ანცვიფრებს მისი მიხვედრილობა და გონებამახვილობა. იშვიათად, რომ მასავით შეეძლოს რომელიმე მუშას ნახაზის წაკითხვა. კონსტრუქტორები და გამომგონებლები რაიმე ახალ მანქანას რომ შექმნიან, პირველად მასთან მირბიან. შალვა ერთს დახედავს ნახაზს, თუ თქვა კარგიაო, ეს უკვე გამარჯვების ბეჭედია, ზოგჯერ კი პირდაპირ იტყვის: „არა, ეს მანქანა ასე არ იმუშავებს, თქვენ სადღაც შეცდომა დაუშვით“, — და მერე თვითონ ეხმარება შეცდომის გამოსწორებაში.

ყოფილა შემთხვევა: ქარხანაში წარმოდგენილი კონსტრუქციის მიხედვით დაუმზადებიათ მანქანა, აუწყვიათ, მაგრამ იგი არ ამუშავებულა.

— შალვა სად არის? შალვა ომანაძეს დავუძახოთ, იმის მეტი ამ მანქანას ვერავინ გაუგებს! — ამბობს ვილაც და შალვას მოსაყვანად გარბის.

შალვა ღიმილით იკეთებს სათვალეს, ჩაჰყურებს ნახაზს, მერე აიღებს ქლიბს და დინჯად სინჯავს დეტალებს, მალე დეფექტიც აღმოჩენილია. შეცდომა სულ რაღაც მილიმეტრებშია, ზეინკალი იწყებს მუშაობას და რამდენიმე საათის შემდეგ მანქანა უკვე მწყობრშია.

მუშაობის დროს რომ ნახოთ შალვა ომანაძე და მერე თქვენი შთაბეჭდილება მის საწარმოო მაჩვენებლებს შეადაროთ, გაკვირვებული დარჩებით: დინჯად, დაკვირვებით საქმიანობს იგი, ამდენი ბარაქა კი გამოსდის ხელიდან — უკვე 1965 წლის ანგარიშში მუშაობს სახელოვანი ზეინკალი.

შალვა არა მარტო კარგი ოსტატი, კარგი მასწავლებელიცაა. მისი გამოზრდილი სპეციალისტები დღეს წარმატებით მუშაობენ, როგორც ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში, ისე თბილისის სხვა საწარმოებში. მამის მოწაფედ თვლის თავს და მის კვალს მიჰყვება შალვას უფროსი ვაჟი ომარი. მან შარშან დაამთავრა საშუალო სკოლა და ახლა ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში მუშაობს.

აი ასეთი შემოქმედებითი შრომით ცხოვრობს შალვა ომანაძე, იმ უცხოელს კი ჰგონია, ყოველივე ეს მოსაბეზრებელიაო.

შალვა ახლა 54 წლისაა, მაგრამ ზოგიერთივით პენსიისაკენ როდი უჭირავს თვალი. ჭაბუკივით მხნედ გამოიყურება. ამ დღეებში ხომ მთლად გაახალგაზრდავდა. ასე იცის დიდმა სიხარულმა: მას წილად ხვდა ბედნიერება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ისტორიული ყრილობის დელეგატი ყოფილიყო. მისი მონაწილეობით განიხილა და მიიღო ყრილობამ პარტიის ახალი


ეროვნული ბიბლიოთეკა

პროგრამა და წესდება, მისი დასტურიც იყო კომუნიზმის მშენებლობის დიადი გეგმის ერთსულოვან მოწონებაში.

შალვამ კი თავის მხრივ ყრილობაზე მიიტანა დიდი შრომითი გამარჯვებები და ის უსაზღვრო სიყვარული, რომლითაც იგი განმსჭვალულია მშობლიური პარტიისა და ხალხისადმი.

მ. მიძაძე





# მთისა და ბარის ქსოვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედეა ცოგაძე

ნახატი თ. სოსელიასი.

განუწყვეტლივ ხმაურობენ დაზგები, სწრაფად დაქრიან მაქოები. მოძრაობს დგიმი და ხავარცხელი, ციბრუტივით ტრიალებს თაფლისფერთვალება გოგონა. დაგ-დაგ-დაგ!.. ხმიანობენ დაზგები, თითქოს გამრჯე მარჯვენის სადიდებელ სიმღერას უმღერიან გოგონას, თითქოს აგონებენ ძველისძველ ამბებს — კერიის პირას რომ უყვებოდა ბებია...

განუწყვეტლივ ხმაურობენ დაზგები, ერთმანეთის მიყოლებით მოძრაობენ დგიმები. გარბის და გამორბის მაქო ლაფათაზე. ნელა ირხევა ქსელი, მერე ერთად იშლება მასრაზე დახვეული ძაფი და გოგონას ფიქრის გორგალი. მოძრაობს ლაფათა და გულმოდგინედ ბეჭავს ქსოვილზე ძაფს. ძაფს ემატება ძაფი. რეგულატორზე იზრდება ქსოვილი.

დაგ-დაგ-დაგ!.. ხმიანობენ დაზგები. მათ შორის მედიკო ახალკაცის ორი რკინის მეგობარია. აგერ თითქმის სამი წელია, რაც ამ ვეებერთელა მანქანებმა რკინის გული გაუხსნეს და ყველა საიდუმლო — დიდი თუ პატარა გაუმხილეს...

სადღაც გაწყდა ძაფი, არ გამოეპარა გოგონას. მაქოში დაიცალა მასრა, მზად არის ახალი. მოძრაობს ლაფათა, ყუთიდან ყუთისაკენ გარბის მაქო. იშლება ფიქრისა და ძაფის გორგალი... რა სწრაფად მოძრაობენ ხელები, გამოცდილ მქსოველზე სწრაფად. ნეტა დაანახა დედას. ალბათ არც დაუჯერებდა თვალებს. ახლა სახლშია დედა, საათს უყურებს, როცა საათის ისრები თერთმეტთან შეჩერდება, ეზოში გამოდის. დგას და ელოდება, დგას და ნერვიულობს, ალბათ ისევ პატარა ჰგონია 20 წლის ქალიშვილი.

სადღაც გაწყდა ძაფი, გაწყდა ფიქრის გორგალიც. სწრაფად დაიხარა გოგონა, გაინასკვა ძაფი, გაინასკვა ფიქრის გორგალიც... მამა არ ახსოვს მედიკოს. ჯერ დაბადებულიც არ იყო, როცა ომში წაიყვანეს და მერე აღარც დაბრუნებულა...

დაგ-დაგ-დაგ!.. ხმაურობენ დაზგები. გარბიან და გამორბიან მაქოები. ძაფს ემატება ძაფი...

დრო ყველაფრად უღირს მედიკოს. უნდა თვითონ გაუსწროს დროს, რომ შვიდწლედის დავალებათა შესრულება 1965 წელს კი არა, 1964 წელს, 1963 წელს იზეიმოს. ახლა უკვე 1962 წლის ანგარიშში მუშაობს ქალიშვილი. ყოველ თვეში გეგმის გადამეტებით 200-300 მეტრ ქსოვილს ქსოვს. კომბინატში ყველამ იცის, რომ მისი ნახელავი მხოლოდ და მხოლოდ პირველი ხარისხისაა. აკი ამიტომ მიანიჭეს კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება.

გუგუნებენ დაზგები, რეგულატორები ფერადი შალის ნაჭრებით გაივსო. ქალიშვილმა ნაქსოვი გამოხსნა, საანგარიშო ნომერი ჩადო, მანქანებს შეხედა, — ძაფი გათავებულიყო. ჩუმად, უძრავად იდგნენ მანქანები. მედიკომ ხალათი გაისწორა. ახლა ძაფისთ-

# „როცა მოვკვდები“...

ო. ცეცხლაძე

**50 წლის წინათ — 1911 წლის 6 ოქტომბერს** მოსკოვის სამხატვრო თეატრის სცენაზე პირველად დაიდგა ლევ ტოლსტოის დრამა „ცოცხალი ლეში“.

ეს პიესა, რომლის გამოქვეყნებაზე განსვენებული ავტორი ჯიუტად აცხადებდა უარს, იმავე დღეს პირველად დაიბეჭდა გაზეთ „რუსკოე სლოვოში“.

„ცოცხალი ლეშის“ დაწერის ისტორია მეტად საინტერესოა. პიესას საფუძვლად დაედო ნამდვილი ამბავი, რომელიც მოსკოვის საოკრუგო სასამართლოს თავმჯდომარემ ნ. დავიდოვმა მოუთხრო ლ. ტოლსტოის.

ამბავი შეეხებოდა ვინმე ეკატერინე ჰიმერს. მას სასამართლოს გადაწყვეტილებით „ორქმრიანობის“ გამო ენისეის გუბერნიაში გადასახლება მიუსაჯეს.

ამ ქალის პირველი ქმარი ნიკოლოზ ჰიმერი გამოუსწორებელი ლოთი იყო, რომელიც სამუშაოდან გააძევეს.

უსახსროდ დარჩენილი ეკატერინე ჰიმერი იძულებული გახდა ერთ-ერთი ფაბრიკის საავადმყოფოში მეანედ დაეწყო მუშაობა. აქ მან შეიყვარა საავადმყოფოს მოსამსახურე ჩისტოვი, რომელმაც ეკატერინეს ცოლად წაყვანა აღუთქვა.

მათ შეუღლებას თითქოს არაფერი აღარ ეღობებოდა წინ, რადგან ნიკოლოზ ჰიმერიც თანახმა იყო ცოლთან განქორწინებაზე.

მაგრამ სამღვდელოების სახით აქ თავი იჩინა გადაულახავმა წინააღმდეგობამ.

განქორწინების გაფორმება სამღვდელოებისათვის მეტად სარფიან საქმეს წარმოადგენდა, საჭირო იყო დიდი თანხის გაღება და ცრუმოწმეთა დაქირავება, რათა „ღვთის მსახურთ“ თანხმობა განეცხადებინათ „ქორწინების საიდუმლოებათა“ დარღვევისათვის.

გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ეკატერინემ როგორც იყო მოახერხა ქმრის დათანხმება, რათა მას ფიქტიური თვითმკვლელობა მოეხდინა.

1895 წელს 24 დეკემბერს მდინარე მოსკოვის სანაპიროზე იპოვეს ნიკოლოზ ჰიმერის ძველი პალტო და წერილი.

წერილში აღნიშნული იყო, რომ იგი ველარ შეურიგდება თავის „სამარცხვინო დაცემას“, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი „მძიმე უღლისაგან გაანთავისუფლოს ცოლი“. ნ. ჰიმერი თავის წერილს ამთავრებდა თხოვნით, რათა მისი სიკვდილი არავისათვის არ დაებრალებინათ.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩისტოვი და ე. ჰიმერი ოფიციალურად შეუღლდნენ. „ცოცხალი ლეში“ ნიკოლოზ ჰიმერი კი პეტერბურგში გაემგზავრა. აქ იგი დაუკავშირდა ნაძირალებს და დაიწყო ტრაბახი, რომ იგი „მკვდარი სხეულია“.

გალეშილი ნ. ჰიმერი პოლიციის უბანში მიიყვანეს, სადაც მან აღიარა მისი თვითმკვლელობის ინსცენირების ამბავი.

დაიწყო სკანდალური პროცესი „ორქორწილობის შესახებ“. ორთავე ჰიმერს ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს, მაგრამ საქმეში ჩაერია ცნობილი საზოგადო მოღვაწე პროკურორი ა. კონი. მისი წყალობით ცოლ-ქმარი გადაურჩა მკაცრ სასჯელს, მაგრამ საეკლესიო ქორწინების შებღალვისათვის, მაინც ვერ ასცდნენ ციხეში თითო წლით პატიმრობას.

ლ. ტოლსტოი გაიტაცა საოცარმა ამბავმა „ცოცხალ ლეშზე“, დაწერა პიესა, მაგრამ უკმაყოფილო დარჩა თავის ნაწარმოებით. როცა ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკომ პიესა სთხოვა მოსკოვის სამხატვრო თეატრში დასადგმელად, ტოლსტოიმ კატეგორიულად განაცხადა: „როცა მოვკვდები, მაშინ დადგით...“

„ცოცხალი ლეში“ დაიდგა ლ. ტოლსტოის გარდაცვალებიდან 1 წლის შემდეგ. მას აქეთ ეს პიესა მტკიცედ დამკვიდრდა რუსული და უცხოური თეატრების რეპერტუარში,

ვის გაიქცევა, დრო რომ არ დაეკარგოს...

— კი მაგრამ, რომ არ იყოს ძაფი? — სწრაფად გაუელვა გოგონას, ცარიელ მასრებს გადახედა, — რას არ იფიქრებს კაცი, საწყობში ძაფის მეტი რა არის! შენ ოღონდ მოქსოვე. კი მაგრამ, საწყობშიც რომ გამოილიოს? ისევ აეკვიატა ფიქრი ქალიშვილს. მაშინ? მაშინ უძრავად იდგებოდნენ ეს დაზგები, მედიკო კომუნისტური შრომის დამკვრელი არ იქნებოდა, ყრილობას საჩუქარს ვერ მოუმზადებდა. საოცარია, ამაზე არასოდეს არ უფიქრია.

ახლა ყურადღებით შეათვალიერა ბავშვის საპალტოე დრაფი, წეღან რომ მანქანიდან მოხსნა. პირველად იგრძნო, რომ ეს მარტო მისი ნახელავი არ იყო, რომ აქ სხვების მარჯვენაც ტრიალებდა, უცნობი ადამიანების მარჯვენა, ვისი წყალობითაც ხმაურობენ ეს დაზგები. ვინ არიან ისინი? სად არიან ახლა? თუმც იცის მედიკომ, კარგად იცის, ვინც არიან, ისინი ხომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შრომობენ. ზოგი მათგანი უნახავს კიდეც...

ეს იყო 1960 წლის ოქტომბერში. ყაზბეგის რაიონის მშრომელებს შეფობა გადაეწყვიტათ თბილისის მაუდკამვოლის კომბინატზე და წერილობით სთხოვეს ჩასულიყვნენ მათთან სტუმრად. კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა დელეგაციის მსუბუქი ავტომანქანები თუხთუხით შეუყვნენ ჯვრის უღელტეხილის გზას. მიდიოდნენ თბილისელი ფეიქრები, რომ ყაზბეგელ მეცხვარეებთან ჩაეყარათ ძმობისა და მეგობრობის საფუძველი.

ყაზბეგის რაიონული ცენტრი საზეიმოდ იყო მორთული. თბილი შეხვედრა, ტაშის გრიალი. მოედანი სავსე იყო ხალხით. დღეს აქ ხევში განთქმული ძველისძველი ტრადიცია „ძმადგაფიცვა“ უნდა მომხდარიყო, არა ორ ადამიანს შორის, არამედ ორ ხალხმრავალ კოლექტივს შორის.

ტრიბუნაზე იდგა საქართველოს კომპარტიის ყაზბეგის რაიკომის მდივანი ა. შადური. იგი სტუმრებსა და მასპინძლებს უყვებოდა რაიონის წარსულზე, აწმყოზე, დაუღალავი შრომით მოპოვებულ წარმატებებზე. 1960 წელს, წინა წელთან შედარებით, სახელმწიფოსთვის ხორცის მიყიდვა 2,5-ჯერ გაზრდილიყო, რძისა და მატყლისა — 1,5-ჯერ. ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები რაიონის მშრომელებმა ვადაზე ადრე შეასრულეს. სახელმწიფოს მიჰყიდეს 691 ტონა ხორცი, 300 ტონა მატყლი, 403 ტონა რძე. ბევრი რამ ჰქონდათ იმ დღეს მისალოცი ყაზბეგელებს და მაუდკამვოლის კომბინატის დირექტორი ე. თავაძეც სულითა და გულით ულოცავდა მთელი კომბინატის სახელით.

— ცუდი კოლექტივი არ აგირჩევიათ სამეგობროდ. ჩვენც წარმატებით ვასრულებთ დავალებებს. დღე-ღამეში 13.400 მეტრ ქსოვილს ვქსოვთ. გადაწყვეტილი გვაქვს გეგმის ზევით მოვქსოვოთ 34 ათას 274 მეტრი ქსოვილი. 300 ტონა მატყლი მიჰყიდეთ სახელმწიფოს? სულ ცოტა 137 ათას მეტრ ქსოვილად ვაქცევთ. თქვენ ოღონდ გამოგზავნეთ, ჩვენ მოვქსოვთ, სწორედ ისეთს, თქვენ რომ გაგეხარდებათ. „ნამგალობა“ გვწადია თქვენთან, მოდით და „ვინამგალოთ“.

ძმად გაიფიცა ორი კოლექტივი, „ფიცვერცხლი“ არ უჭამიათ, მაგრამ ყველას სჯეროდა, რომ ეს ძმობა მტკიცე იყო. სტუმრებმა ძმობის საწინდრად მასპინძლებს დიდი ალბომი გადასცეს, რომელიც ნაირფერადი შალის ნაჭრებით იყო სავსე. აქ იყო ოცამდე პროდუქციის ნიმუში, რომელსაც თბილისის მაუდკამვოლის კომბინატში ქსოვენ ყაზბეგელების მატყლით.

„მოდით და ნახეთ ყაზბეგი, რა ტურფა სანახავია“, — მღეროდნენ სტუმრები და მასპინძლები. მერე მთიდან მოხეთქილი ნიაღვარივით დაიძრნენ ცხენოსნები. ერთმანეთს ეწეოდნენ და უსწრებდნენ ხევში განთქმული ჭაბუკები. ფინიში კიდევ შორს იყო, და აი, ადგილს მოსწყდა წითელი ბედაური, ფრთებშესხმულივით გაქანდა წინ, მიაგელვებდა თეთრყაბალახიან ჭაბუკს. იდგა მედიკო და ფიქრობდა, რომ ეს ელგუჯაა, იაგოა, ონისეა, კობაა... აი ფინიშიც. გამარჯვებულს ულოცავდნენ და მაშინ გაიგო მედიკომ, რომ ეს არც ელგუჯა იყო, არც კობა, ეს ზურაბ ელოშვილი იყო, კარგი მეცხვარე, თავისი მიღწევებით ხევში რომ ყველა გააკვირვა...

აგერ უკვე შუადღეა, სძინავს თბილისს, მედიკოს კი არ ეძინება. მანქანებთან დაწყებული ფიქრი ლოგინშიც ჩაჰყვა. იმ ზღაპრულ მხარეში ერთხელ კიდევ იმოგზაურა. ნამგალა მთვარემ კი ვინ იცის მერამდენედ ჩახედა თვალებში. ნეტავ როგორ არიან ახლა ყაზბეგში? — ფიქრობს გოგონა. ნეტავ სად არის ახლა ზურაბი. იქნებ შინ არის? იქნებ ცხვარშია? ან იქნებ სძინავს?

...ცხვარი შეჰფენია ჯოხროხის მთებს და მაღლა სულ მაღლა მიიწევს. ნაბადში გახვეული ყმაწვილი მდელოზე წამოწოლილა, ღიღინებს და თვალს არ აშორებს ფარას. კარგად იცნობენ ამ ახალგაზრდას ხევში. იგი ჯერ მხოლოდ ოცდახუთ გაზაფხულს შეხვდა და აქედან ათს — საქართველოდან შორს, ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე. მხოლოდ ოცდახუთ გაზაფხულს შეხვდა ზურაბ ელოშვილი და მოასწრო: მეცხვარეობით სახელგანთქმულ კუთხეში ეთქვათ მასზე — საუკეთესო მეცხვარეაო, 1.400 სული ცხვარი ჩაებარებინათ, ბრიგადირობა მიენდოთ, რაიონული საბჭოს დეპუტატად აერჩიათ, კომკავშირის რაიკომის პლენუმის წევრი გამხდარიყო, ხევხევებში ცხენოსნობაც ესწავლა და მოსკოვში საკავშირო პირველობაზე პირველობა და სირდარიის თასის მფლობელობა მიელოცა ბუდიონს.

ყველაფერი მოასწრო გორისციხელმა ბიჭმა. 13 წლისამ ნაბადი მოისხა და კავკასიონის მთებს შეაფარა ცხვარი. 15 წლისამ შემოდგომის დამდეგს ფერად ხურჯინში დედის ხელებით ჩაწყობილი საგზალი აიკიდა, მშობლიურ მთებს, თერგსა და დარიალს გამოემშვიდობა და ყაზბეგიდან ყიზლარამდე 400 კილომეტრი ნაბიჯებით გადაზომა.

შვიდასი სული ცხვარი წაიყვანა ზურაბმა 1.380 დააბრუნა, 2,5 ტონა მატყლი მიიღო და რაიონში ყველაზე კარგ მაჩვენებლებს მიაღწია. ასე იყო 1957 წლიდან 1960 წლამდე. კარგი მაჩვენებლებისათვის საჩუქრებს საჩუქრები მოჰყვებოდა, მადლობას მადლობა.

ახლა საზაფხულო იალაღებზეა ზურაბი. 1.400 სული ცხვარი ჰყავს ფარაში. ღამეა, ნისლში გახვეულა მთები, ჩასძინებიათ შრომით დაღლილ ადამიანებს, ზურაბს კი არ ეძინება. ძლივს მთვარიანი ღამე ნახა, ბალახობს


ეროვნული ბიბლიოთეკა

„ცხორი“ და აბა რაიღა დააძინებს.

კიდევ რამდენიმე დღე და კავკასიონის მთებიდან დაიძრება ცხვარი. ახლა უნდა პატივი და მოვლა, რომ ჯანზე კარგად იყოს, გზაზე არ გაილახოს და არ დასუსტდეს, მატყლი რომ ბარაქიანად მიიღოს, თავი არ შეირცხვინოს, სიტყვა არ გატეხოს.

მთვარე ანათებს ჯოხროხის მთებს. ცხვარი სულ მაღლა-მაღლა მიუყვება, მიჰყვება მეცხვარეც. უყურებს ფარას და უხარია. აი ამ ბატკნებმა, ახლა რომ ბალახს შეექცევიან, პირველად მის უბეში იპოვნეს სითბო. აი ამ ხელებმა შეუნარჩუნეს სიცოცხლე.

— ბაკიდან ჯერ მკვდარი ბატკანი არც როდეს გამიტანია, არც როდეს გამეტანოს, — ამბობს მოხევე.

ანათებს მთვარე, ბალახობს ცხვარი...

...დაგ-დაგ-დაგ!.. ხმაურობენ დაზგები, გარბიან და გამორბიან მაქოები. კომბინატის ეზოში შემოდიან და გადიან სატვირთო მანქანები. შემოაქვთ ქართული მატყლი, გააქვთ ქართული ქსოვილი. „კოლხეთი“, „დრაფი“, „ეტვალი“... ხვალ რომ ათობით, ათასობით ადამიანი მოიწონებს და ჩაიცვამს.

დაგ-დაგ-დაგ!.. ხმაურობენ მატარებლის ღერძები, სხვადასხვა მიმართულებით მიაქვთ ქართული ქსოვილი და მას თან მიჰყვება, მედიკო ახალკაცის, ზურაბ ელოშვილის და მათი მეგობრების კეთილი სურვილები: მშვიდობაში! დღეობებში! ქორწილებში! ძეობებში!..

# ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის XII წლისთავი


ეროვნული ბიბლიოთეკა



მოძმე ჩინელი ხალხი სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებებით შეეგება თავის ეროვნულ დღესასწაულს— ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების მეთორმეტე წლისთავს.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სახალხო რესპუბლიკის მშრომელებმა უმოკლეს ხანში ძირეული სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები განახორციელეს. სწრაფი ტემპით განვითარდა მძიმე მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, უდიდეს წარმატებას მიაღწია მეცნიერებამ, აყვავდა კულტურა.

დიდი ჩინელი ხალხი მტკიცე და ურღვევი მეგობრობით არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირთან.

„ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის დიდი ხანია არსებობს ღრმა მეგობრობა,—თქვა სკკპ XXII ყრილობაზე მისასალმებელი სიტყვით გამოსულმა ამხანაგმა ჯოუ ენ-ლაიმ,—ჩვენი ხალხების ეს დიადი შეკავშირება და მეგობრობა სამარადისოდ იცოცხლებს, მსგავსად იმისა, როგორც სამარადისოდ იდენენ იანძი და ვოლგა".

საბჭოთა ხალხის ბრწყინვალე გამარჯვებები კომუნიზმის მშენებლობის გაშლილ ფრონტზე, ჩინეთისა და სხვა მოძმე სოციალისტური ქვეყნების მიერ მოპოვებული წარმატებები საიმედო გარანტიას ქმნის ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისა და მთელს მსოფლიოში მშვიდობის მტკიცე დაცვისათვის.

# ჩინური იუმორი

## თოკი

ერთი კაცი ქურდობისათვის დაიჭირეს. მეგობრები შეეკითხნენ თუ რა დანაშაული მიუძღვის მას.

— ნამდვილად არ ვიცი, — თქვა პატიმარმა, — ალბათ ბედი არ მწყალობს, მინდორში ვსეირნობდი, დავინახე მიწაზე თოკი ეგდო, ვიფიქრე რამეში გამომადგება-თქო, დავტაცე ხელი და სახლში წამოვიღე. აბა მე რა ვიცოდი, თუ თოკის მეორე მხარეზე ძროხა იყო გამობმული.



## მშვიდი და ფიცხი

ერთი კაცი, ძალზე მშვიდი და აუღელვებელი, მეგობართან ერთად ცეცხლთან იჯდა და თბებოდა. სტუმარმა დაინახა, რომ მისი მეგობრის ხალათს ცეცხლი წაეკიდა და თქვა:

— დიდი ხანია შევატყე, მინდოდა შენთვის მეთქვა, მაგრამ შემეშინდა — შენ ძალზე ფიცხი ხარ და ვაითუ აღელდე. რომ არ გითხრა, დიდად დაზარალდები, როგორ მოვიქცე — გითხრა თუ არა?

მეგობარი დაინტერესდა და თხოვა გაერკვია თუ რაში იყო საქმე.

— აი, შენ ხალათს ცეცხლი წაეკიდა.

მეგობარი მყისვე წამოხტა, დაიწყო ცეცხლის ჩაქრობა და გაბრაზებულმა თქვა:

— თუკი დიდი ხნის წინათ შეამჩნიე, რომ ჩემი ხალათი იწვოდა, რატომ მაშინვე არ მითხარი?

— მე ხომ ვამბობდი — შენ ძალზე ფიცხი ხარ და მართალი გამოვდექი, — მშვიდად უპასუხა სტუმარმა.

## ძუნწის რჩევა

ერთი ძუნწი კაცი ვეფხვმა გაიტაცა. მისმა შვილმა ეს რომ დაინახა, დანას ხელი დაავლო და ვეფხვს გამოეკიდა. ძუნწმა რომ დაინახა დასარტყმელად აღმართული დანა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაიყვირა:

— მომისმინე, შვილო! ვეფხვს თათები ისე მოაჭერი, რომ ქურქი არ დაუზიანო, თორემ ფასი დაეკარგება.



# მშვიდობისა და დემოკრატიის ფორპოსტი

ლ. ალექსიძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

თორმეტი წლის წინ ევროპის შუაგულში აღიმართა მშვიდობისა და დემოკრატიის ბურჯი, გერმანიის ისტორიაში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფო. იგი შეიქმნა დასავლეთის ქვეყნების სეპერატიულ საქმიანობათა საპასუხოდ, ქვეყნებისა, რომლებმაც გათელეს ანტიჰიტლერული კოალიციის მიერ შემუშავებული შეთანხმებანი და დაადგნენ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის გზას. იალტის და პოტსდამის შეთანხმებათა შესაბამისად გერმანია დაიყო ოთხ საოკუპაციო ზონად (აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, სსრ კავშირი), ხოლო ზონების საქმიანობის კოორდინაციისათვის შეიქმნა საკონტროლო საბჭო, რომელიც ბერლინში დაბინავდა. თვით ბერლინიც, საბჭოთა კავშირის თანხმობით, დაყოფილ იქნა ოთხ საოკუპაციო სექტორად. საოკუპაციო ხელისუფლების ძირითადი ამოცანა იყო — გერმანიის დემოკრატიზაცია, დენაციფიკაცია (სახელმწიფო აპარატის ნაცისტებისაგან გაწმენდა), დეკარტელიზაცია (მონოპოლიების გაუქმება) და დემილიტარიზაცია ქვეყნის ეკონომიური მთლიანობის შენარჩუნებით. მშვიდობიან რელსებზე გადაყვანილ გერმანიასთან უნდა დადებულიყო საზავო ხელშეკრულება, რომელიც განამტკიცებდა დადგენილ საზღვრებს და წარმატებით გადაჭრიდა მრავალ დიდმნიშვნელოვან პრობლემას.

საბჭოთა კავშირმა აღმოსავლეთ ზონაში მალე განახორციელა ყველა ეს მოთხოვნა და ნიადაგი მოამზადა მშვიდობისმოყვარული და დემოკრატიული გერმანიის შექმნისათვის. მაგრამ სულ სხვა გეზი იქნა აღებული გერმანიის დასავლეთ ნაწილში, სადაც მოკლე ხანში მოხდა ჯერ საოკუპაციო ზონათა ეკონომიური და სავალუტო გაერთიანება (1946-1948 წწ.), ხოლო შემდეგ ამის ბაზაზე პოლიტიკური ზედნაშენის — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა (1949 წ.).

დასავლეთი აშკარად დაადგა გერმანიის ეკონომიური და პოლიტიკური გათიშვის გზას. ჯერ კიდევ 1947 წელს ამერიკული ჟურნალი „ნიუსუიკი" სწერდა: „ვაშინგტონის ოფიციალური პირების აზრით, ოთხი სახელმწიფოს რეჟიმის გაგრძელება მხოლოდ კომუნიზმს გაავრცელებდა მთელს გერმანიაში. მათ ურჩევნიათ დასავლეთისათვის გერმანიის ნაწილი მაინც შეინარჩუნონ".

კომენტარები, როგორც იტყვიან, ზედმეტია.

ასეთ ვითარებაში დაიბადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც თავისი არსებობის პირველ დღიდანვე გადაიქცა მშვიდობისმოყვარულ დემოკრატიულ სახელმწიფოდ და მტკიცე ადგილი დაიკავა სოციალისტური ქვეყნების ძმურ ოჯახში.

მას შემდეგ განვლო 12 წელმა. ამ ხნის მანძილზე ორივე გერმანიამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი საერთაშორისო ასპარეზზე. მაგრამ როგორ განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან! თუ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა გადაიქცა ნაცისტების, რევანშისტების და მილიტარისტების ბუდედ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარდა როგორც უაღრესად მშვიდობისმოყვარული სახელმწიფო, რომელიც ყოველ ღონეს ახმარს ევროპაში დაძაბულობის შენელებასა და ახალი ომის საფრთხის აღმოფხვრას.

დემოკრატიულმა გერმანიამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია სოციალიზმის მშენებლობაში. განხორციელდა მრეწველობის ნაციონალიზაცია, მიწის რეფორმა, შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, გაიზარდა ქვეყნის ეკონომიური სიმძლავრე, ამაღლდა მშრომელთა ცხოვრების დონე. საკმარისია ითქვას, რომ მარტო უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მეტალურგიული წარმოება გაიზარდა 279 პროცენტით, ქიმიური — 198 პროცენტით, მუშათა და მოსამსახურეთა ფულადი შემოსავალი კი — ორჯერ და ა. შ.

ომის წინა პერიოდთან შედარებით დემოკრატიული გერმანია ამჟამად სამჯერ მეტ სამრეწველო პროდუქციას უშვებს და ამ მხრივ მას ევროპაში მეხუთე ადგილი უკავია. მას ოფიციალური სავაჭრო ურთიერთობა აქვს დამყარებული 55 ქვეყანასთან და ცნობილია სუვერენულ სახელმწიფოდ მრავალი კაპიტალისტური ქვეყნის მიერ.

დასავლეთ გერმანიის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რათა არ დაუშვას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არა მარტო ეკონომიური აყვავება, არამედ მისი საერთაშორისო პრესტიჟის გაზრდაც, იგი იქამდე მივიდა, რომ მექანიკურად წყვეტდა დიპლომატიურ ურთიერთობას ყველა იმ სახელმწიფოსთან, რომელიც ცნობდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას.

იარაღის ისტერიული ჟღარუნი და აღვირახსნილი პროპაგანდა, რასაც ამჟამად დასავლეთელი ვაი-პოლიტიკოსები მიმართავენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, გამიზნულია იქითკენ, რათა დააშინონ სუსტი ნერვების მქონე ადამიანები და თავიანთი ნება-სურვილი უკარნახონ ხალხებს.

მაგრამ ადამიანებს კარგად ახსოვთ ისტორიის მწარე გაკვეთილები და აღარ სურთ ხელმეორედ გაისულელონ თავი.

მსოფლიოს მრავალმა სახელმწიფომ, მათ შორის ახლახანს ბელგრადში გამართულ კონფერენციაში მონაწილე ბლოკებსმიუმხრობელმა ქვეყნებმაც, დაგმეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის „არ ცნობის" დასავლეთის ყბადაღებული პოზიცია. როგორც ცნობილია, ე. წ. „ბერლინის კრიზისის" პერიოდში დასავლეთში სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ იმ ფაქტს, რომ ადრე თუ გვიან, დასავლეთს ძალაუნებურად მაინც მოუხდება სოციალიზმის გზაზე დამდგარი ახალი გერმანიის ცნობა. ფელდმარშალი მონტგომერი, გენერალი კლეი, სენატორი ფულბრაიტი და სხვები იძულებულნი არიან აღიარონ დასავლეთის პოზიციის უსუსურობა.

ორი გერმანიის არსებობა რეალური ფაქტია და ამის უარყოფა მხოლოდ ასეთ პოლიტიკურად ბეცებს და შუბლმაგარ ადამიანებს შეუძლიათ, როგორიც ადენაუერი, შტრაუსი, ბრანდტი და მათი კომპანიაა. ბონის საომარი მზადება და პროვოკაციული გამოხდომები დემოკრატიული გერმანიის წინააღმდეგ სხვა არა არის რა, თუ არა ბავარიელი ეფრეიტორის ადოლფ ჰიტლერის სისხლიანი პოლიტიკის პირდაპირი გაგრძელება.

მაგრამ ხალხებმა იციან, და ყველაზე უკეთ თვით გერმანელმა ხალხმა იცის, თუ რით დამთავრდა თავზეხელაღებული ფიურერის ცეცხლთან თამაში. ჰიტლერის ბედი ეს ყველა იმ ადამიანის ბედია, რომელსაც არ სურს თვალი გაუსწოროს სინამდვილეს და მანიაკის სიჯიუტით ლამობს გაახვიოს მსოფლიო ახალი ომის ცეცხლში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები მშვიდად და დარწმუნებით აშენებენ ახალ ცხოვრებას და არ ეშინიათ იმპერიალისტთა მუქარისა. მათ ძალუძთ თავიანთი მონაპოვრის, თავიანთი აწმყოსა და მომავლის მტკიცედ დაცვა. მათ მხარს უჭერს მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანა, მხარს უჭერს მძლავრი სოციალისტური ბანაკი, რომელსაც სათავეში უდგას მშვიდობის ბურჯი დიდი საბჭოთა კავშირი.

საზავო ხელშეკრულების დადება ორივე გერმანიასთან, არსებული საზღვრების განმტკიცება და დასავლეთგერმანელი რევანშისტების ალაგმვა, ბერლინის გადაქცევა თავისუფალ, დემილიტარიზებულ ქალაქად და, ყოველივე ამით, ახალი ომის კერის ლიკვიდაცია შუა ევროპაში — ასეთია მთელი პროგრესული კაცობრიობის მოთხოვნა, ასეთია ის ერთადერთი სწორი გზა, რომელსაც მსოფლიო მიჰყავს საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა კეთილმეზობლური ურთიერთობისაკენ.

## ომები რომ არ ყოფილიყო...

წარმოუდგენელი ზიანი და უბედურება მოაქვს ომებს კაცობრიობისათვის. მეტად ძნელია მარტო იმ მატერიალურ ფასეულობათა ოდენობის განსაზღვრა, რაც დაიხარჯა ორი მსოფლიო ომის წარმოებაზე და განადგურდა ამ ომების დროს.

ეკონომისტების გამოანგარიშებით, პირველი მსოფლიო ომის დროს დახარჯული ფული რომ ხალხთა ცხოვრების გაუმჯობესებას მოხმარებოდა, **74 მილიონი მობილიზებული ჯარისკაციდან თვითეული შესძლებდა კარგი სახლის ყიდვას და მიწის დიდი ნაკვეთის შეძენას.**

მეორე მსოფლიო ომის წარმოებაზე დახარჯული მარტო ფულადი თანხა კი საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ **საშუალო განათლება მიეღო მსოფლიოს ყველა ბავშვს, აგებულიყო ხუთოთახიანი ბინები მსოფლიოს ყველა ოჯახისათვის და მოწყობილიყო თითო საუკეთესო საავადმყოფო დედამიწის მთელი მოსახლეობის ყოველი 5 ათასი კაცისათვის.**

# უკვდავი პოლკი

თენგიზ გოგოლაძე

მოთხრობა

შალიკომ თანასოფლელ ბიჭებთან ერთად მუშტი მკერდზე დაიკრა და ფრონტზე დაქადნებით გასწია, რომ მტერს დედას უტირებდა.

ომში ბიჭების მთელი არმია წავიდა. კანტიკუნტადღა დაბრუნდნენ. ზოგი ყავარჯნებით შემოხანხალდა სოფელში, ზოგმაც ორდენებით გადანათებული მკერდი შემოიტანა.

შალიკოც დაბრუნდა. ერთი მედალი ეკეთა. ასეთი მედალი მტერზე გამარჯვებისას მილეთის ხალხს მისცეს. შალიკო ოთხი წელი ცეცხლის ხაზზე იყო და ლოყაზე ტყვიის ნაკაწრი დარჩენოდა ომიანობის ნიშნად. სხვა მხრივ ტყვიაუკრავი და მთელი ჩანდა. სოფელში რომ გამოვიდა, ბევრი არა უამბნია რა მისი საქმეებით დაინტერესებული მეზობლებისათვის. აბა რა ეთქვა? ეთქვა, რომ... მერედა, რით დაემტკიცებინა თავისი ვაჟკაცობა, თუ რა გაუკეთებია ქვეყნის სასიკეთო?

— შალიკო, ბიჭო, აკი...

— რა აკი? — უხერხულად იმტვრევა შალიკო, მხრებში ოდნავ მოხრილი, მაღალი, სახედაძვალული ჭაბუკი.

— რა და... გახსოვს? ბიჭები ამბობდით...

— მერედა, შენ რა გინდა?

— რა და ისა... რა ვიცი, კი არაფერს გვიამბობ და...

— რა უნდა გიამბოთ? გავიმარჯვეთ და ჩამოველ.

ბიჭებს ეღიმებათ. ესენი, გუშინ და დღეს რომ წამოიჩიტნენ, ვაჟკაცობაში თავს რომ სდებდნენ, ისინი იყვნენ. აბა იქ ყოფილიყვნენ, აბა მათაც ეწვნიათ ცეცხლის საშინელება, მაშინ კრიჭას შეკრავდნენ და შალიკოსადმი სამდურავი აღარ წამოსცდებოდათ.

შალიკოს ბავშვივით უწითლდებოდა ლოყები. ვინ რა იცოდა, გულში დამარხულ რა ამბებს ატარებდა.

ერთხელ მცელავებს თივის ზიდვაში წააშველა ხელი.

დაზვინული ურემი წისქვილთან ჩამოატარა და ორღობის თავში გააჩერა. ჩახრიალას სიმღერა შემოესმა და გული აუფორიაქდა.

ჯარში წასვლამდე ხშირად მოდიოდა ამ წისქვილთან, თავის ხმელ ბეჭებს შეუშვერდა ჩახრიალას და წყალში რკინის პალოსავით იდგა. რაც დაბრუნდა, ერთხელ არ გამოუვლია აქეთ. რატომღაც ერიდებოდა და... ახლა კი ძველის გახსენება მოუნდა. თანაც ცხელოდა, მაგრა აჭერდა თიბათვის მზე.

მიიხედ-მოიხედა. წისქვილთან კაციშვილი არ ჩანდა. მეწისქვილე ერთი გამოყრუებული ბერიკაცი იყო და საფქვავზე მისული ვინმე, არც კი რჯიდა მას, თავად დააყრიდა პურსა და სიმინდს. ომი ახალი დამთავრებული იყო და მოსავლის მოლოდინში ხალხს ისევ მოსდევდა ლუკმა-პურის ნაკლულობა. ჩახრიალაზე უფრო მეტი წყალი დიოდა ვიდრე წისქვილის ღარებში. ხამუშ-ხამუშ ერთი დოლაბი თუ ჩაიღიღინებდა.

შალიკომ ჩახრიალასთან ტანთ გაიძრო. წყალი მძიმედ დაეცა მის ბეჭებს, ფეხები დაძაგრა და გაეხარდა, რომ ჯანი ისევ შერჩენოდა. წყლის ქვეშ დგომა გაუტკბა.

ჩახრიალას ზემოთ, რუისპირა ბილიკზე ონავრებმა გაიარეს, შალიკო დაინახეს და პირები ლოქოსავით დააღეს. უყურებდნენ და თვალს არ უჯერებდნენ: შალიკოს მთელ ტანზე ადგილი არ ჰქონდა დარჩენილი, რომ შეხორცებული ჭრილობის ნაწიბური არ ჰქონოდა. ამხელა კაცი თითქოს ნაწილ-ნაწილ შეუკერავთო.

შალიკო ჩახრიალას გამოეცალა, წყლიდან გამოსულს უფრო მკვეთრად გამოუჩნდა ნაწიბურები. მაღლა ბიჭები დაინახა. არაფერი უთქვამს მათთვის, ხალათშარვალი ჩაიცვა და ურმისკენ გასწია. ონავრები აედევნენ.

— ძია შალიკო...

— რა იყო, ბიჭო?

— ეს როგორი ყოფილხარ, ჰა?

— აი, ეგეთი ვარ, რას იზამ... აქაც მომცხეს, იქაც, — შალიკომ მკერდზე და ბეჭებზე მიისვ-მოისვა ხელი, მერე სახრე მოიმარჯვა და ხარებს გაუჯავრდა.

* * *

სოფელში ვეღარ მოისვენა. შინ დაუბარა, ცოტა ხანს შემაგვიანდებაო და წავიდა. დედამ იფიქრა, იქნებ სადმე საბედო ჰყავს შეგულებულიო. ვერაფერი ჰკითხა, იცოდა შვილის ჯიუტი ხასიათი, მაინც ვერას ათქმევინებდა. მერედა, ფრონტიდან მაინც ისეთი გულჩახვეული და მოღრუბლული დაბრუნდა.

შალიკომ სოფლის შარა ჩაიარა, მატარებლით შორეულ გზას დაადგა.

შალიკო დღისით ფანჯარას არ სცილდებოდა, თვალს არ აშორებდა უკრაინის მრავალტანჯულ მიდამოს. ნასახლარებთან თავიანთი ბუდის აღსადგენად მისულიყვნენ, მიწა დიდი ცხოვრებისათვის ემზადებოდა.

...სწორედ ამ პატარა სადგურზე იყო, ამ ოთხი წლის წინათ ეშელონი რომ დაცალეს მებრძოლებმა. საიდან სად გაიშალა პოლკი!

შალიკომ ფეხი დადგა თუ არა ბაქანზე, ირგვლივ მიმოიხედა. ახლა სიწყნარეა. სადგურის დანგრეული ნაწილი ჯერ კიდევ არ აღუდგენიათ, გაბოლილი ნანგრევები ისევ ხელუხლებელია. გონებას მწარე სიზმარივითღა შემორჩენია ის საშინელი დღეები და აწ გამეფებული სიმშვიდე სიამეს გვრის გულს.

მატარებელი წავიდა. ერთი-ორი მგზავრი სადგურს გასცდა და სოფლის გზას დაადგა.

შალიკო ცოტა ხნის მერე გაჰყვა მათ ნაკვალევს.

მკათათვეს პური დაემწიფებინა. მერედა, რა პირი უჩანდა ომისშემდგომ პირველ მოსავალს! გზის გარდიგარდმო მძიმედ ღელავდა ყანა. შალიკოს გულს სიხარული ეფონა და ისე ლაღად გახედა სივრცეს, გეგონებათ ახლა დაიბადა და გაუკვირდა, ეს რა ლამაზი, რა თვალწარმტაცი ყოფილა ქვეყანაო.

სადგურს იქით, ხუთ კილომეტრზე, სოფელია, მერე ტყე, ველი და ისევ ტყე, უდაბური.

შალიკო სოფლისკენ მიდიოდა და გონებაში თანდათან უფრო მკვეთრად ცოცხლდებოდა მოგონებათა საშინელი სურათები:

აი, სწორედ ამ ველზე გაიშალა პოლკი. შტაბი სოფელში დაბანაკდა. შტაბში საბრძოლო დროშა იყო, რომლის დაცვა და ბრძოლაში გატანა შალიკოს ევალებოდა.

ბრძოლა დაიწყო ფიცხელი და შეუპოვარი. მტერმა სასტიკად შემოუტია ველზე გაჭრილ ბლინდაჟებს.

ბინდდებოდა. ცეცხლი არ ცხრებოდა. ფაშისტების ბევრი ალმოდებული ტანკი დარჩა ბრძოლის ველზე, მაგრამ აქეთ ჩვენი ბიჭები დაიხოცნენ.

ტყე იწვოდა, იწვოდა სოფელიც.

პოლკის საბრძოლო დროშა ხელიდან არ გაუგდია შალიკოს.

ალმოდებულ სოფელში გერმანელები შეიჭრნენ და პოლკის ნარჩენები ტყისაკენ დასწიეს, ალყა შემოარტყეს და ყოველი მხრიდან ცეცხლი დაუშინეს. ჩვენების ერთმა ფიცხელმა ბატალიონმა ბრძოლით გაარღვია მტრის რკალი და... შალიკოს აღარ ახსოვს, გადარჩა თუ არა ბრძოლაში თუნდაც ერთი კაცი.

პოლკის დროშასთან კი ერთი ათეულიღა შეკრბა. ბიჭები თავგანწირვით იცავდნენ თავსა და დროშას.

შალიკოც გააფთრებული იბრძოდა.

ეს არ უნახავთ მისი სოფლის ბიჭებს, მაგრამ ეს კარგად დაემჩნა მის ხელახლა შეკერილ სხეულს. დაჭრეს და დააგდეს. ისევ წამოდგა. ისევ დაჭრეს და ისევ დასცეს. მერე ისევ წამოდგა და ისევ დაემხო მიწაზე. როცა შეღამდა, მის გარშემო აღარც ერთი ცოცხალი მებრძოლი აღარ იყო.

...შალიკომ შუბლზე მოისვა ხელი და ცივი ოფლი მოიწმინდა ამ საზარელის გახსენების გამო მომდგარი.

„შალიკო, ბიჭო, აკი... გახსოვს, ბიჭები ამბობდით...“

„ვამბობდით, მა არ ვამბობდით?! ვამბობდით და კიდეც გავაკეთეთ...“

შალიკომ ღრმად ამოიოხრა და გზა განაგრძო.

ხვალ-ზეგ ალბათ აიღებენ ამ ყანას. მერედა, რა მაძღარი სუნი აქვს.

მზე გადახრილა. ყანას ნიავი ურბენს. ყანა შრიალებს და მხოლოდ ეს ერთადერთი ხმა ისმის ქვეყანაზე.

სოფელში არ შესულა. სოფელს ქვემოთ, ბორცვებთან გზა გადიოდა ტყისაკენ მიმავალი და იქით გასწია. სოფელში ბევრგან მოჩანდა ნასახლარი, ეტყობა მათი პატრონები არ გამოჩენილან... ზოგან ღუმელი და დამწვარი ძელებიღა იყო... ბევრგან კი გაცოცხლებულა სოფელი, სოკოებივით წამოუდგამთ თეთრად შეფეთქილი და ისლით გადახურული ცისფერდარაბებიანი სახლები.

სოფელს მოუარა და ტყისკენ გამოვიდა.

აი, ამ ადგილას დაიხიეს პოლკის ნარჩენებმა და აქ გაწყდნენ უკანასკნელი ბიჭები.

ველი ახლად მოხნული იყო. ეტყობა ქერი აიღეს და მაშინვე გადახნეს. აი, ამ ადგილას თუ ცოტა იქით, ტრანშეა გადიოდა. მერე... მაგრამ იქამდე კიდევ იყო თხრილები... ტრანშეას რომ ვერ მიაღწია, ერთ თხრილში — გამაგრდა დროშის დამცველი ათეული. აქ კი, ნახნავზე, აღარც თხრილი ჩანს და აღარც ტრანშეა.

შალიკო ნახნავზე გადავიდა. ბელტებში ფეხი ეფლობოდა. აი, აქ იყო, თუ ცოტა იქით? ნახნავს იქით პატარა საძოვარია. მაგრამ შალიკოს კარგად ახსოვს, რომ სწორედ აქ, აი, ამ ნახნავზე იყვნენ მაშინ.

— ეი, ძმობილო! — დაუძახა ვიღაცამ.

ფიქრში წასული შალიკო უცებ შეკრთა ამ დაძახილზე და იქით გაიხედა, საიდანაც ხმა მოესმა.

ნახნავს მხედარი მოსდგომოდა. ეტყობოდა ნაომარი და შინ ახლად დაბრუნებული იყო, ჯარისკაცურად შემოსილიყო.

— ნახნავში რას ეძებთ? — იკითხა მან და ურჩი ცხენი ძლივს შეაოკა. სადავე ღონივრად მოქაჩა.

შალიკო მხედრისკენ წავიდა.

ცხენოსანი ჩამოქვეითდა და უცნობ ახალგაზრდას შორიდან მუშტრის მზერით მიაპყრო თვალი. შალიკო პასუხს აგვიანებდა. ვიდრე არ მიუახლოვდა, სიტყვა არ დაუძრავს. ხოლო, როცა ნახნავიდან ბილიკზე ამოვიდა, მხედარს მიესალმა.

— აქაური ხართ? — ჰკითხა შალიკომ.

— აქაური... კოლმეურნეობის თავმჯდომარე, კირილე შულგა. კილოზე გცნობ, კავკასიელი უნდა იყო, — კირილემ ულვაშზე გადაისვა ხელი და ახლა სითბო ჩაუდგა თვალებში.

— კარგ დროს შემხვდით, — გაუღიმა შალიკომ, — აქედან სოფელში თქვენთან ვაპირებდი გამოვლას.

— წამობრძანდით. მაგრამ აქ, ნახნავში რას ეძებდით?

— დიახ... ვეძებ, — შალიკომ ერთხელ კიდევ გახედა ველს და ნაღვლიანად თქვა, — მაგრამ კვალი ისეა წაშლილი, რომ მეძნელება მეხსიერებაში აღვადგინო ზუსტად ის ადგილი, სადაც... — შალიკომ ღრმად ამოისუნთქა, კირილეს თვალებში შეხედა.

კირილე გაოცებით უყურებდა. ამჩნევდა, რომ სტუმარი ღელავდა, გრძნობდა, რომ მას რაღაც მეტად მტკივნეული და დიდი რამ აკავშირებდა ამ მიწასთან.

— მე აქ ვიბრძოდი, — თქვა შალიკომ.

— ჰო, — თავი გააქნია კირილემ, — მიამბეს, რომ აქ დიდი და სისხლისმღვრელი ბრძოლები ყოფილა. მე სხვა ფრონტზე ვიყავი...

ცხენი არ ისვენებდა, ტორს მიწას სცემდა, თითქოს პატრონს ამით ანიშნებს, ჰა, მოათავე საუბარი და გავფრინდეთო.

— წამობრძანდით, — გაუმეორა შულგამ სტუმარს, — მიამბეთ... თუ რამ შემიძლია შეგიმსუბუქოთ დარდი...

— განა დარდიანად გამოვიყურები?! — გაიკვირვა შალიკომ.

— გატყობ, რომ რაღაც გაწუხებთ... ღელავთ. განა არა?

— დიახ, მე მართლა ვღელავ.

წამს დუმილი ჩამოვარდა. მოსაუბრენი ნელი ნაბიჯით დაიძრნენ სოფლისაკენ.

— დიდი ხანია დაბრუნდით არმიიდან? — ჰკითხა შალიკომ.

— ოთხი თვეა.

— ხომ არაფერი გაგიგიათ... იქნებ



ნახატი დ. ხახუტაშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მ. გელოვანი — „ლენინი რაზლივში“


ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო მოქანდაკე ნ. კანდელაკი — სოციალისტური შრომის გმირის კ. ილურიძის პორტრეტი

პარტიის XXII ყრილობის გახსნასთან დაკავშირებით მოსკოვის ცენტრალურ საგამოფენო დარბაზსა და სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის შენობაში მოეწყო საბჭოთა მხატვრების საკავშირო გამოფენა. ჩვენი რესპუბლიკიდან გამოფენაზე გაიგზავნა ქართველი მხატვრების 120-დე ნამუშევარი. ვაქვეყნებთ ზოგიერთ მათგანს.



მ. ჩირინაშვილი — „დილა ალაზნის ველზე“

ვ. ქუთათელაძე — „ხიდის მშენებლობა“



ბ. სანაკოევი — „ახალ ზღურბლთან“





დ. ნოდია — „სინათლე მთებში“







ამ გაჩირაღდნებულ შენობაში მიმდინარეობდა ჩვენი ძლევამოსილი პარტიის XXII ისტორიული ყრილობა.



მოსკოვი. ჩვენი გული, აზრი, დიდება. ხალხთა იმედის და სიცოცხლის წყარო. მას შეჰყურებს დღეს მთელი მსოფლიო, მისკენ მიილტვის მილიონობით და მილიონობით ადამიანთა ყველაზე წმინდა, ყველაზე ამაღლებული და მღელვარე ფიქრები, გრძნობები. აქ ჩაეყარა საფუძველი ჩვენს მჩქეფარე ცხოვრებას, აქ დაერწა აკვანი ჩვენი ხვალინდელი დღის — კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად პროგრამას.

ელავს, ციმციმებს მოსკოვი, ჩვენი სამშობლოს თვალწარმტაცი დედაქალაქი, კაცობრიობის ბრწყინვალე შუქურა, და სჯერათ ხალხებს, რომ აქ, ჩვენს საოცარ ქვეყანაში, სულ მალე შეესხმება ხორცი მათ საუკუნეობრივ, სანუკვარ ოცნებას.







ეროვნული ბიბლიოთეკა



ზ. ნიჟარაძე — „ახალი ნერგი"


ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო მხატვარი უჩა ჯაფარიძე —
კ. კეკელიძის პორტრეტი



თ. მირზაშვილი — „ცხვრების გაკრეჭა"



რ. სანაძე — „მწყემსი"

თ. ასათიანი — კომკავშირელ
ც. კალტოზიშვილის პორტრეტი





გ. თოთიბაძე —
„პორტრეტი"

# სერგო ორჯონიკიძის სახლ-მუზეუმი

(ს. ორჯონიკიძის დაბადების 75 წლისთავის გამო)


ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატი უჩა ჯაფარიძისა

ზემო იმერეთის ულამაზეს მთებსა და გორაკებს შორის გაშლილ სოფელ ღორეშაში სამოცდათხუთმეტი წლის წინათ, 1886 წლის 28 ოქტომბერს, დაიბადა ვ. ი. ლენინის ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე გრიგოლ (სერგო) კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძე.

მზრუნველობით უვლიან ორჯონიკიძის რაიონის მშრომელები და ღორეშელი თანასოფლელები იმ ადგილებს, რომლებიც ს. ორჯონიკიძის სახელთან არის დაკავშირებული. სოფელ ღორეშაში ათი წლის წინათ გაიხსნა ორჯონიკიძის სახლ-მუზეუმი.

მუზეუმში დაცული დოკუმენტები, მასალები, ნივთები ნათლად ასახავენ ლეგენდარული რევოლუციონერის მთელ ცხოვრებას და მოღვაწეობას.

განსაკუთრებით საინტერესოა ექსპონატები პრაღის პარტიული კონფერენციის შესახებ, სადაც ს. ორჯონიკიძე აკეთებს მოხსენებას რუსეთის საორგანიზაციო კომისიის მუშაობაზე. კონფერენციამ ს. ორჯონიკიძე აირჩია რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრად.

მუზეუმის ექსპონატებს შორის არის რუკა, რომელზეც აღნიშნულია სერგოს დაპატიმრებების დრო და გადასახლების ადგილები. 14 წლის განმავლობაში, 1903 წლიდან 1917 წლამდე (თვითმპყრობელობის დამხობამდე), სერგომ 8 წელი გაატარა საპყრობილეებში, კატორღასა და გადასახლებაში, მაგრამ ვერავითარმა დევნამ და შევიწროებამ ვერ გატეხა მისი რევოლუციური ნებისყოფა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ ს. ორჯონიკიძეს გადასახლებაში მოუსწრო. განთავისუფლების შემდეგ, 1917 წლის ივნისს, სერგო პეტერბურგში ჩავიდა. ვ. ი. ლენინის წინადადებით სერგო შეჰყავთ ბოლშევიკური ორგანიზაციის პეტროგრადის კომიტეტში და პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

სახლ-მუზეუმის ერთ-ერთ დარბაზში გამოფენილია მასალები, რომლებიც ასახავენ ს. ორჯონიკიძის მოღვაწეობას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და განხორციელების პერიოდში. სურათზე აღბეჭდილია ვ. ი. ლენინისა და ს. ორჯონიკიძის შეხვედრა რაზლივის ტბის გაღმა, სადაც ივლისის დღეების შემდეგ ვ. ი. ლენინი არალეგალურად მუშაობდა აქ, ლენინთან სერგო ორჯერ იყო დირექტივებისათვის. აქვეა ექსპონატები, რომლებიც ასახავენ ს. ორჯონიკიძის აქტიურ მონაწილეობას რკპ (ბ) VI ყრილობის მუშაობაში.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ვ. ი. ლენინის დავალებით ს. ორჯონიკიძე დიდ როლს ასრულებს იუნკერთა ამბოხების ლიკვიდაციაში, რომელიც 1917 წლის 11 ნოემბერს დაიწყო პეტროგრადში. მეორე დღეს ვ. ი. ლენინი ს. ორჯონიკიძეს გზავნის კრასნოე სელოში კერენსკ-კრასნოვის ჯგუფის წინააღმდეგ, სადაც სერგომ დაატყვევა კონტრრევოლუციონერი გენერალი კრასნოვი.

სერგო იყო წითელი არმიის ერთ-ერთი გამოჩენილი მშენებელი და მისი პოლიტიკური ხელმძღვანელი. ყველაფერი ეს ნათლად არის ასახული სახლ-მუზეუმის ექსპონატებში.

დამთვალიერებელთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მასალები, რომლებიც ასახავენ ს. ორჯონიკიძის როლს ჩრდილოეთ კავკასიასა და ამიერკავკასიის ხალხთა განთავისუფლების საქმეში.

აქვეა მასალები, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ რა ბრძოლა უხდებოდა ს. ორჯონიკიძეს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის, სახალხო მეურნეობის აღდგენა-განვითარებისათვის, კონტრრევოლუციონერთა ნაშთების ლიკვიდაციისათვის. დიდია ს. ორჯონიკიძის როლი ნაციონალ-უკლონისტებისა და სხვა ჯურის ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ, ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისათვის ბრძოლაში. სწორედ ამ პერიოდში ს. ორჯონიკიძე სათავეში ედგა ჯერ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს.

ს. ორჯონიკიძე საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, ხოლო მისი რეორგანიზაციის შემდეგ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის პოსტზე, მთელი ენერგიითა და სიმტკიცით იბრძოდა ხუთწლედების განხორციელებისათვის, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განვითარებისათვის.

სახლ-მუზეუმში გამოფენილ რუკებზე აღნიშნულია პირველ და მეორე ხუთწლედებში ჩვენს ქვეყანაში აგებული მძიმე მრეწველობის საწარმოები. სწორედ ს. ორჯონიკიძის აქტიური მონაწილეობით ძლევამოსილად შესრულდა მძიმე ინდუსტრიის პირველი და მეორე ხუთწლედი. მუზეუმის ორ დარბაზში თავმოყრილი ექსპონატები ნათლად გვიჩვენებენ ს. ორჯონიკიძის — „ინდუსტრიის რკინის სარდლის“ — მოღვაწეობას ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში.

ს. ორჯონიკიძე ყოველთვის მტკიცედ იბრძოდა პარტიის რიგების ლენინური ერთიანობისა და სიწმინდისათვის, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების ურყევად დაცვისათვის. 1925 წლის 29 იანვარს ბაქოს XIV პარტიულ კონფერენციაზე იგი ამბობდა:

„ლენინი მოკვდა, მაგრამ ლენინიზმი უკვდავია.

ჩვენი პარტია... არავის არ მისცემს ლენინიზმის არც რევიზიის, არც მისი შეცვლის ნებას. იგი არავის არ მისცემს ჩვენი პარტიის ერთიანობის დარღვევის ნებას. ლენინიზმი და ლენინური პარტიის ერთიანობა ჩვენი დროშაა“.

ს. ორჯონიკიძეს ახასიათებდა მაღალი პრინციპულობა და პარტიული დამოკიდებულება ყოველი საქმისადმი. მისთვის პარტიული პრინციპი უმაღლესი პრინციპი იყო. 1933 წელს იგი ამბობდა:

„პარტიულობა მთავარია... პარტიულობა პირველ ყოვლისა და უწინარეს ყოვლისა“.

ს. ორჯონიკიძისათვის არაფერი არ იყო იმაზე უფრო დიდი, ვიდრე მოვალეობა პარტიის წინაშე, ბრძოლა პარტიის, მუშათა კლასის ინტერესებისათვის, კომუნიზმის საქმისათვის. მან მთელი თავისი შესანიშნავი, ნათელი სიცოცხლე შესწირა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისა და მის მონაპოვართა განმტკიცების საქმეს.

**კლ. შელია,**

**ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.**

---

რამე იპოვნეს აქ ხვნის დროს ტრაქტორისტებმა?

— განძი რაიმე? ბლომად საომარი იარაღის ნამტვრევი გავიტანეთო, ამბობდნენ.

შალიკო წუთით დადუმდა.

კვლავ გზას დაადგნენ.

— მაშ არ უპოვნიათ ჯარისკაცურ ხალათში შეხვეული პოლკის დროშა?.. თუმცა, შეიძლება ყველაფერი გაქრა მიწაში... მე ის ღრმად ჩავფალი. სხვა გამოსავალი არ მქონდა, — თქვა შალიკომ და ახლა სევდიანი და დაფიქრებული თვალები კი არ უჩანდა, მუგუზლებივით ანათებდა, ალბათ ასე აკვესებდა თვალებს ბრძოლაში, მაშინ, როცა უკანასკნელ, უმძიმეს წუთებში ხალათი გაიხადა და დროშა შეახვია, როცა დაუძლურებულმა ძალა მოიკრიბა და მიწა მაინც გაჭრა...

კირილემ ქვეშ-ქვეშ გამოხედა.

—რა შორიდან დაიწყე... შენ, ძმაო, გმირი ყოფილხარ. გმირი და მერე როგორი, უკვდავი პოლკის მედროშე! მერე და, ეს ერთი მედალი გაქვს? არავინ იცოდა?..

— ვის რა უნდა სცოდნოდა, ვილა დარჩა ამბის წამღები.

— დროშას ვიპოვით და პოლკის სახელიც აღსდგება.

კირილემ მხარზე მოხვია ხელი. შალიკომ იგრძნო მისი ძალოვნება. ამ მოხვევაში იყო რაღაც ძმური სითბო და ალერსი.

სოფელში განუყრელი მეგობრებივით შევიდნენ. კირილემ ცოლს სუფრა გააშლევინა. როცა სტუმარი დალოცა, ხმამაღლა თქვა:

— მოვნახავთ დროშას... ის ჩვენს მიწაშია.

* * *

მაგრამ, აგერ, წლები წლებს მიეწყო. შალიკომ ის ერთი მედალი კამოდში შეინახა. ცოლ-შვილს მოეკიდა. რაც დრო გადიოდა, ომის მოგონებანი სიზმარივით ქრებოდა და გულში შემორჩენილი ტკივილებიც თანდათან იკურნებოდა.

ერთი-ორჯერ შულგას შეახსენა. კირილე არაფერს იწერებოდა საიმედოს. ამ მიწერ-მოწერაში მათი მეგობრობა გაინასკვა.

ოჯახმა, ქვეყნის საქმემ და დრომ ახალი ფიქრები და საზრუნავი გაუჩინეს შალიკოს. სამი თვალებბრიალა ბიჭი წამოეზარდა. უფროსი თხუთმეტისა გაუხდა. ღინღლი აეშალა საულვაშეზე. მამის თაობის წარსული ამბები წიგნში წაეკითხა, გადმოცემით გაეგო და აი, ერთ დღეს ისევ განახლდა:

— მამი, ასე ძალიან რომ დაგჭრეს... ეს ერთი მედალი?

შვილსაც კი არ გაუმხილა გულის მურაზი. სადღაც მიწაში ჩაფლული დროშა დამარხული ახლობელივით აწუხებდა და ახლაც გაეხსნა გულის ჭრილობა.

— მამი, რატომ არაფერს მიამბობ?

— რა უნდა გიამბო, შვილო?.. ვიბრძოდით, დამჭრეს, ისევ შემკერეს და აი, ეხლა თქვენთან ვარ, — გაიღიმა, სიყრმის შვილს ახედ-დახედა. „ვაჟკაცია, ვენაცვალე!“ — გულში სიამაყით გაივლო და მერე შუათანას გახედა, რომელიც ხბოს სასიმინდისაკენ მიათრევდა. უმცროსი სახლის კიბეზე ჩამომჯდარიყო, მუხლებზე წიგნი გადაეშალა და ხმადაბლა რაღაცას კითხულობდა გატაცებით. სხვებს ერთი შვილი ენატრებოდათ, შალიკოს სამი ვაჟკაცი უმწიფდა. და ეს მეტისმეტად ახარებდა.

და ასე ტკბილად გადიოდა დღეები.

ერთხელ უფროსი ვაჟი შინ აქოშინებული მოიჭრა.

— მამი, ვერაფერი გავიგე, — ძლივს თქვა და მამას დეპეშა გაუწოდა.

შალიკოს გული შეუქანდა, შვილს სწრაფად გამოართვა ქაღალდი და წაიკითხა:

„დროშა ვიპოვეთ მხურვალედ გილოცავ გკოცნი კირილე შულგა“

# ახალი თერმიული წყლები

სოფელ ცაიშში (ზუგდიდის რაიონი) და ნაქალაქევში (ცხაკაიას რაიონი) არსებობს ბუნებრივი ცხელი წყლები, რომლებიც წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ სამკურნალო დანიშნულებისათვის, თერმიული წყლების ბაზაზე ადრეული ბოსტნეულისა და ჩითილების მისაღებად, აგრეთვე შენობების გასათბობად და სამრეცხაო მეურნეობის მოსაწყობად.

ნაქალაქევში უკვე მოქმედებს სამკურნალო დაწესებულება 7 აბაზანით, ცაიშში კი უახლოეს ხანებში დამთავრდება კეთილმოწყობილი სტაციონარული სააბაზანოს მშენებლობა.

ცაიშში და ნაქალაქევში ერთი წელია გაშენდა საცდელი კვალსათბურები, სადაც ადრეული ბოსტნეულის მოსაყვანად გამოყენებულია ბუნებრივი ცხელი წყლები, როგორც უფასო სითბოს ენერგია.

სოფელი ცაიში მდებარეობს ზუგდიდიდან 13 კილომეტრის დაშორებით. სოფელს შუაზე ყოფს მდინარე ჯუმი. საქართველოს მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თერმიული წყლების ბაზაზე ბოსტნეულის მისაღებად მოწყობილი საცდელი ნაკვეთი მდინარე ჯუმის მარჯვენა მხარესაა მოთავსებული.

მაგალითად, ცაიშის მინერალური, სულფატქლორიდის, აზოტომეთანის 82 გრადუსიანი ტემპერატურის წყალი № 1 ჭაბურღილის 800 მეტრი სიღრმიდან ამოჩქეფს და კვალსათბურისაკენ 122 გრძივ მეტრზე მიედინება.

*თვითეული კვალსათბური ჩასმულია ცემენტის ჩარჩოში. კვალსათბურში 60 სანტიმეტრის სიღრმეზე ცხელი წყლის ორი გამტარი მილია ჩაწყობილი. ონკანის საშუალებით ხდება ბუნებრივი ცხელი წყლის რეგულირება.

№ 1 ჭაბურღილიდან კვალსათბურებში გავლის შემდეგ ბუნებრივი ცხელი წყლის ტემპერატურა 70 გრადუსამდე ეცემა, რადგან გზაში თანდათან კარგავს სითბოს.

მდინარე ჯუმის მარცხენა მხარეს, № 1 ჭაბურღილის ჩრდილოეთით 800 მეტრზე მდებარეობს ასეთივე ტიპის ცხელი წყლის № 2 ჭაბურღილი.

№ 1 ჭაბურღილის სადღეღამისო დებეტი 1,5 მილიონამდე ლიტრს აღწევს. მიმდინარეობს ახალი ჭაბურღილის გაბურღვაც. უნდა ვივარაუდოთ, რომ ერთი წლის შემდეგ ეს სამუშაო დამთავრდება და ცხელი წყლის დებეტი მნიშვნელოვნად მეტი იქნება.

ჩვენი აზრით, ბუნებრივი ცხელი წყლის მთლიანი დებეტი სასათბურო მეურნეობას უნდა მოხმარდეს. წყალი ჯერ ადრეული ბოსტნეულის გამოსაყვანად მოწყობილ კვალსათბურებში გაივლის, შემდეგ კი რეგულიაციის საფუძველზე მიწოდებული იქნება სამკურნალო სააბაზანოში. ცხადია, კვალსათბურებიდან მოწოდებული წყლის ტემპერატურა ბევრად მაღალი იქნება და უფრო მეტ გაგრილებას მოითხოვს, ვიდრე ეს საჭიროა სააბაზანო მეურნეობისათვის. ამრიგად, შემოდგომა, ზამთრისა და გაზაფხულის პერიოდში, არსებული ცხელი წყლის დებეტი საკმარისი იქნება 5 ჰექტარ ფართობზე კვალსათბურების მოსაწყობად.

ცაიშის თერმიულ წყლებზე ჩატარებული მუშაობის შედეგად ირკვევა, რომ არსებული მინერალური ცხელი წყალი კარგად უზრუნველყოფს კვალსათბურების გათბობას და როგორც პამიდორის, ასევე კიტრის საადრევო მოსავლის მიღებას. 6 კვალსათბურის 108 კვადრატული მეტრი ფართობიდან მიღებულია 279 კილოგრამი კიტრის მოსავალი, ხოლო ამავე სიდიდის ფართობიდან 611 კილოგრამი მწიფე პამიდორი.

გაანგარიშებით ერთ ჰექტარზე პამიდორის მოსავლიანობა 560 ცენტნერი მოდის, კიტრი კი 250 ცენტნერი.

ნორმალურ პირობებში, წესიერი მოვლის შედეგად თვითეულ ჰექტარზე მოსალოდნელია 350 ცენტნერი კიტრისა და 700 ცენტნერი პამიდორის მოსავლის მიღება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყოველწლიურად შესაძლებელია ორი მოსავლის მიღება.

ცაიშის მიდამოებში უახლოეს დროში გაშენდება სანატორიუმები, დაკვირვებებით დადასტურებულია, რომ ცაიშისა და ნაქალაქევის თერმიული წყლები კარგ შედეგებს იძლევა პერიფერიული ნერვიული სისტემის დაავადების (რადიკულიტები), სახსრების ქრონიკული ანთების (ინფექციური ხასიათის), სახსრების რევმატიზმის, გინეკოლოგიური და გულის დაავადებების სამკურნალოდ. ნაქალაქევში სამკურნალოდ იგზავნებიან აგრეთვე კანით დაავადებული ავადმყოფები.

ნაქალაქევის მინერალური წყლების ჭაბურღილი ცხაკაიას რაიონული ცენტრის ჩრდილოეთით მდებარეობს, მდინარე ტეხურის ხეობაში.

საცდელი კვალსათბურები მოწყობილია ტეხურის მარჯვენა ნაპირზე. ეს ფართობი საკურორტო ზონაში შედის. გარდა ამისა, აქვე აშენებულია სამკურნალო სააბაზანო, რომელიც ყოველდღიურად 150 ავადმყოფს ატარებს.

მინერალური ცხელი წყლის მცირე ფართობის (0,5 ჰექტარი) კონფიგურაცია არსებითად მოგვაგონებს ნახევარკუნძულს, რადგან მას თითქმის სამივე მხრიდან მდინარე ტეხური უვლის გარს.

თუ მდინარე ტეხურზე აიგება გაბმული ხიდი და მთის ფერდობზე გაშენდება დასასვენებელი სახლები და სამკურნალო ნაგებობები, ხოლო არსებულ ცხელ წყლებს მაქსიმალურად გამოვიყენებთ ადრეული ბოსტნეულის გამოსაყვანად, მაშინ, ცხადია, კურორტ ნაქალაქევს უდიდესი მომავალი აქვს.

ნაქალაქევის ჭაბურღილიდან მიღებული წყლის ტემპერატურა უდრის 79 გრადუსს, იგი ნაერთების სახით შეიცავს კალციუმს, გოგირდს, ნახშირს, ჟანგბადს, ქლორს, მაგნიუმსა და ნატრიუმს.

ცაიშის ცხელი წყლის ტემპერატურა 82,2 გრადუსს აღწევს, იგი შეიცავს მხოლოდ კალციუმს, გოგირდს, ქლორს და ნატრიუმს.

ცაიშისა და ნაქალაქევის ბუნებრივ თერმიულ წყლებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც სამკურნალო, ისე სასათბურო მეურნეობის აღმავლობის დარგში.

გ. მინდაძე.

# თბილისური

ოთარ დემეტრაშვილი

ჩათაფლული შემოდგომა იცის თბილისმა, უზადო ეშხითა და ნასურვილარით სავსე.

ჯერ ნელ-ნელა წამოვა ხევ-ხევ შემოპარული შემოდგომის მაყრიონი: უცუნა და ნარი, ზაფრანა და თებო, მერე კი უცბად აზავთდება ხვავიანი მწიფობისთვე და ბაჯაღლოს ფერი დაედება ქალაქს.

ცისმარე დილით, როგორც კი ალიონი გაიღიმებს ცაზე, გინდა ხოლმე ოცნების ფრთებით აედევნო თბილისურ ნიავს, გინდა ისმინო გრანიტის ჯებირში ჩამჯდარი მტკვრისა და აშოლტილ ხეებზე ფოთლებივით ჩამომსხდარი ბეღურების საგალობელი.

გინდა უყურო ხალხით ავსებულ პროსპექტებს და ამაყად შემართულ მთაწმინდას, ნახო დაოქროვებული ხეივნები და გამჭვირვალე ცაზე შემოდგომის მიმქრალი მზის შემომაღლება.

მერე რა გული გაგიძლებს, ღიღინ-ღიღინით რომ არ მოლიო ლხენაჩამდგარი ქუჩა და ცოტა ხნით მაინც არ მოინახულო თბილისური ბაზარი.

თბილისის ბაზარში ყველაზე ნათლად იგრძნობა საქართველოს მოძალებული შემოდგომის ბარაქა და სურნელი, მისი ეშხი და ლაზათი, მოულეველი ხვავი და გულუხვი ხელგაშლილობა.

ერთმანეთის მხარდამხარ ჩარიგებულ დახლებზე ზღვასავით მოხვავებულა ყოველი მხრიდან შემოტანილი ვაშლი და ქარვისფერი ყურძენი, წითლად მოღაღანე შინდი და ოქროსფერი კომში, ალმოდებული ატამი და დათალხული პანტა.

მოსულა და მოსულა ხორცსავსე მსხალი და გემოწმინდა უნაბი, მარახოში ბროწეული და კერკეტი წაბლი, ნუგბარი ზღმარტლი და შაქარა ლეღვი.

თითქოს მთელი საქართველო აღზევებულა თბილის-ქალაქისაკენ და ზარ-ზეიმით წამოუღია ქვევრებში ამბოხებული ტკბილის ეშხი და თათარაში სამპირ დავლებული ჩურჩხელები, ვეება გალები და საგანგებოდ ნასუქი ქათმები, ლაფათისხელა სულგუნები და გამტკიცული დედას პურები...

დილიდან შებინდებამდე მოუღლელად ბორგავს და ხმაურობს ხალხმრავალი ბაზარი. ბრინჯაოსფრად გარუჯული კოლმეურნეები



# შემოდგომა

ფოტო ოთარ თუშძიანი.



ორთავე ხელის გულდია გაშლით ეპატიჟებიან მუშტრებს. ოჯახის გამრჯე დედები კი აბა ვინ მოთვლის, მერამდენედ უვლიან გარშემო შემოდგომის სიმსუყით დამძიმებულ დახლებს და აღარ იციან რაზე შეაჩერონ თავიანთი არჩევანი...

საშუადღეოზე წამოსული მზე ნელ-ნელა იხალვათებს ცაზე, იხალვათებს და მინაზებულ სხივებს უხვად აღვრის ქალაქს.

სილაღე და მყუდროება ჩამდგარა თბილისის ბაღებსა და პარკებში. გამოლევაზე დასულ შემოდგომის ყელყელა ყვავილებს საამოდ დასთამაშებს გაზონებზე მოლიცლიცე სხივები, დრო და დრო კიდევ სისინით გაინავარდებს აბეზარი ნიავი და ჩაყვითლებულ ხეებს უმოწყალოდ აცლის ფოთლებს.

მოგრძო მერხებზე უკვე კარგა ხანია ჯგუფ-ჯგუფად დამსხდარან მზეს მიფიცხებული მოხუცები. დამსხდარან გათეთრებული, ხელჯოხზე დაყრდნობილი ბერიკაცები და გაუთავებლად ყვებიან ცისა და ბარის ამბებს.

ჯერ როგორც წესი, წვრილ-წვრილად ჩამომარცვლავენ თავიანთი შვილებისა და კუდრაჭა შვილიშვილების ამბებს, მერე კი როგორ იქნება ახალი კოსმიური ხომალდის გაშვებასა და მთვარეზე გაფრენაზეც არ ჩამოაგდონ სიტყვა.

— ცუდ დროს დავბერდით, ბიჭებო, ცუდ დროს! — ულვაშის სწორებით მძიმე-მძიმედ გამოცრის ხოლმე რომელიმე მათგანი და სათვალეს ზემოდან ცერად გახედავს მეგობრებს.

— ასეა, ასე!

— მართალს ამბობ, ჩემო ოქროპირ!

— ჰაი, ჰაი, რომ ცუდ დროს დავბერდით! — ყოველი მხრიდან თავის დაქნევით დასტურს აძლევენ მოხუცები.

განახლებული ქვეყნის წარმტაცი გაზაფხული იხილეს ტკბილმა პაპებმა, ზღაპრებში თქმული საუკუნეების მომსწრენი გახდნენ და ამიტომაც არის, რომ ასე შეჰხარიან სიამტკბილობით ავსებულ წუთისოფელს.

...ერთმანეთის მიყოლებით კრიალოსანივით ნელ-ნელა ჩათავდება ხოლმე ღვინობისთვის საამო და საოცნებო დღეები.

მერე თანდათან იმძლავრებს მხრებში ლაღად გაშლილი შემოდგომა და სუსხითა და რთვილით, ქარითა და ჟინჟღლით აკალთული მობაბოტებს ქალაქში.

ლაღიძის წყლებთან უკვე ვეღარ შეხვდებით წყურვილის მოსაკლავად შეჯერებულ თბილისელთა რიგებს, აღარც ბაღებსა და ფუნიკულიორის პლატოს ეტანება ხალხი, ეზო-ეზო ადევნებული ნაყინის გამყიდველები კი მოღუშული სახით ჩივიან თავიანთი ხელმოცარვის ამბავს...

თავნება და არეული ამინდები მოუხშირდა თბილისს. ხან ქარი მოიგიჟიანებს თავს და მთიდან მთამდე იქროლებს და ჩამოდგება, იქროლებს და ჩამოდგება, ხან კიდევ საავდრო ღრუბელი აიშლება ტყვიისფერ ცაზე და შემოდგომის წვიმა გულმოდგინედ უბეჯითებს ქუჩებს.

წვიმს და წვიმს გადაუღებლად.

წვიმს და მსხვილი წვეთები გულისგამაწვრილებლად ახმიანებს მოედნებსა და ეზოებს, ბაღებსა და სახლების სახურავებს.

ცარიელ ქუჩებში დრო და დრო შხუილით ჩაიქროლებს მანქანა, დრო და დრო კიდევ ქოლგებითა და თავზე აფარებული გაზეთებით ფეხმარდად ჩაივლიან აბუზული მგზავრები.

წვიმს და წვიმს გადაუღებლად.



ეროვნული ბიბლიოთეკა

წვიმს და აბა ვინც იცის, რამდენი პაემანი ჩაშალა კოკისპირულად მომსკდარმა თავსხმამ, ფეხბურთის რამდენ გულშემატკივარს ნაღველითა და სინანულით აუვსო გული.

...თავდადებულ შრომაში იწურება ხვავითა და ბარაქით გულსავსე შემოდგომის ყოველი დღე, ყოველ დღე ახალი ძალითა და ენერგიით ეჭიდებიან საქმეს თბილისელები, ეჭიდებიან და, ეჰეი, რამდენი ჩარხი და ქსოვილი, დაზგა და დეტალი, ავეჯი თუ ხელსაწყო მზადდება გეგმის ზევით, ეჰეი, რამდენ ლექსსა და ოცნებას, იდეასა და ახალ წამოწყებას ესხმება ფრთები.

შებინდების ხანს კი ყოველი მხრიდან მხნე და ლაღი ნაბიჯით წამოვლენ ხოლმე ტკბილმასლაათში გართული სტუდენტები: თვალებმაყვალა ქალიშვილები და შავქოჩორა ჭაბუკები, წამოვლენ





გარჯანახული მშენებლები და ქარხნების მკლავმაგარი მუშები, პოეტები და მხატვრები, ფეიქრები და დიასახლისები... წამოვლენ და საქართველოს დედაქალაქის წყალჯავარი პროსპექტები თანდათან აივსება ხალხით.

რაღაც საამო განწყობა და სიხალისე ისადგურებს ლამპიონებით გაკაშკაშებულ ქალაქში, სილაღე და შეუცნობი სიხარული ელხინება გულს.

აბა როგორ არ უნდა ხარობდეს გული, როცა ქორწილები და ძეობები მომრავლდა მზისა და ვარდების მხარეში, როცა კარიდან კარზე ედება გულღია მილოცვებისა და ომახიანი სიმღერის ხმა.

აბა როგორ არ უნდა ხარობდეს გული, როცა წლევანდელი ბედკეთილი შემოდგომა კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამის მიღების მამცნედ შემოფრინდა ჩვენს ქვეყანაში, როცა დიდი ხნის ოცნების ახდენა და ნანატრი სიამტკბილე მოუტანა ხალხს...


ეროვნული ბიბლიოთეკა

დილა-ბნელი აიშლება თუ არა ჩაქუფრულ ცაზე, გარინდებულ ქუჩებს ჯგუფ-ჯგუფად გამოშლილი ხალხის ხალისიანი ჟრიამული აავსებს. ქარხნებსა და ფაბრიკებში, სკოლებსა და ლაბორატორიებში, ინსტიტუტების აუდიტორიებსა თუ კომბინატებში უჩვეულო აღმაფრენით მიეშურებიან თბილისელები, მიდიან რათა ახალი წარმატებებით ისახელონ თავი და მტკიცე ბალავარი ჩაუდუღაბონ კომუნიზმის ნათელ შენობას.

# შენ ხედავ დროს...

## (ი. ერენბურგის წერილიდან პაბლო პიკასოსადმი)

ძვირფასო პაბლო,

ვიცი არ გიყვარს იუბილეები. ეს ადათი ნამდვილად არცთუ ისე ახალი და არცთუ ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ, როგორც ჩანს, აუცილებელია...

რა თქმა უნდა, მე არ ვაპირებ შენს შემოქმედებაზე სტატიის დაწერას: მის შესახებ დაწერილია ათასობით წიგნი, ქკვიანური და სულელური, სერიოზული და ფუქსავატური. თანამედროვეებიდან იშვიათად თუ უწყობს ვინმე ხელს ასე გულუხვად ხელოვნებათმცოდნეების არსებობას, როგორც შენ. მე ოცდაოთხ საათში უნდა დავწერო შენზე. მაგრამ ვიცი ადამიანები, რომლებიც წიგნებზე შენს შესახებ ოცდაოთხი წელიწადი მუშაობდნენ. არა, მე უბრალოდ მინდა მოგილოცო არა იუბილე, არამედ შენი მარადიული სიჭაბუკე. შენ რომ გოეთეს სცნობოდი, „ფაუსტის" სიუჟეტზე ხელს აიღებდა.

არსებობს შენი სიჭაბუკის ერთი სრულიად ხელშეუვალი დადასტურება. მხატვარზე, რომელსაც ოთხმოცი წელი შეუსრულდა, არასოდეს არ კამათობენ: იგი საყოველთაოდ აღიარებულია ან ყველას მიერ დავიწყებული. ღმერთმა უწყის, რა ბედნიერებაა ყველას მიერ აღიარება: ასეთი რამ მხატვრებს ულიმღამო ეპოქებში ემართებათ: მათ არ შეაშფოთეს არავინ და არც ისინი შეაშფოთა ვინმემ. შენს გამოფენებზე მნახველები საჩხუბრად იწევენ ერთმანეთისკენ: ასე იყო პარიზში, მოსკოვში, ლონდონში. ერთნი პატივს გცემენ, მეორენი გლანძღავენ, ვიცი, ეს გახარებს: ეს იმას ნიშნავს, რომ არა ერთი წლით გაუსწარი ეპოქის გემოვნებებსა და პლასტიკურ წარმოდგენებს. შენ არც კლასიკოსს გავხარ, არც აკადემიკოსს: ოთხმოცი წლისას შენ, როგორც ჭაბუკს, რომელიც ამსხვრევს ყველა კანონებს, შეგიძლია გაცოფებამდე მიიყვანო უგნურნი და ფარისევლნი...

შენზე კამათობენ იმიტომ, რომ შენ ახლებურად დაინახე სამყარო... მოგვეცი კოსმოსის შეგრძნობა, მოგვეცი წარმოდგენა უსაზღვროებაზე, მოგვეცი შენს მიერ დამსხვრეული და აწყობილი სამყარო.

აი, ეს კი შემიძლია მოგილოცო — არა იუბილე, როცა იუბილარს ადრესებით მიმართავენ, არამედ რევოლუცია პლასტიკური ხელოვნების დარგში.



შენ ხედავ დროს, ეს კი იშვიათი თვისებაა მხატვრებისათვის: ჩვეულებისამებრ ისინი მხოლოდ სივრცეს ხედავენ... შენ უკუაგდე მიხრწნილი ესთეტიკა და ცხოვრებაში მათ გვერდით დადექი, ვინც ახალი საზოგადოებისათვის იბრძვის. შენ ყველგან გყავანან მომხრენი და მოწინააღმდეგენი: ეს იმიტომ, რომ შენ რევოლუციონერი ხარ ამ სიტყვის ყველაზე ღრმა და სრული გაგებით...

გისურვებ, ძვირფასო მეგობარო, შემდგომშიც ჭაბუკად დარჩენას... შენ უნდა მოიჭამო ახალგაზრდა და ბებერი სულელები. შეასრულე ეს, გეთაყვა!

# ცხოვრება და ფსიქოლოგია



ფსიქოლოგიას, როგორც მეცნიერებას, ოდესღაც ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. ერთნი ამბობდნენ, ადამიანის სული მწერლების საკუთრებაა და მეცნიერებს მასთან არაფერი ესაქმებათო; მეორენი ამტკიცებდნენ, რომ ფსიქოლოგიას, როგორც მეცნიერებას, არავითარი პრაქტიკული ღირებულება არა აქვს, რომ მისი დასკვნები მუდამ სპეციალისტ-ფსიქოლოგთა საკუთრებად დარჩება და არც არასოდეს გამოადგება საზოგადოებას.

ცხოვრებამ უარყო ამ „წინასწარმეტყველთა“ მოსაზრებანი. ფსიქოლოგიამ მტკიცე ადგილი დაიკავა საბჭოთა ადამიანის კულტურულ ცხოვრებაში. ხოლო ქართველ მეცნიერებს, მთელ ქართველ ხალხს შეუძლიათ სამართლიანად იამაყონ იმით, რომ ქართული ფსიქოლოგიური სკოლის მამამთავრის, აკადემიკოს დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიური თეორია, რომელიც ცნობილია განწყობის თეორიის სახელით, ახლა მთელი საბჭოთა ფსიქოლოგიის უდიდეს მიღწევად ითვლება.

თავის დროზე ამ თეორიასაც ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. აკადემიკოს დიმიტრი უზნაძეს და მის მოწაფეებს დიდი ბრძოლის გადატანა მოუხდათ თავიანთი სიმართლის დასამტკიცებლად. ეს ბრძოლა მათ სასახელო გამარჯვებით დაასრულეს.

— უზნაძის განწყობის თეორია, — გვიამბო მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფესორმა იოსებ ბჟალავამ, — ჩაისახა როგორც ნორმალური ადამიანის ქცევის ფსიქოლოგიური თეორია. ამ თეორიის ძირითადი პრინციპი ის არის, რომ ყოველი ცოცხალი არსების გარემოსთან ურთიერთობა, სანამ იგი ქცევის ცალკეულ აქტებად გაიშლებოდეს, წინ უსწრებს ამ გარემოს ზემოქმედებით ჩამოყალიბებული მზადყოფნა გარკვეული მოქმედებისათვის, ანუ განწყობა. ადამიანის ქცევაც ასეა. მისი შინაგი დასაყრდენი ორგანიზმის ფსიქო-ფიზიკური ძალების მომართვაა, სამოქმედო მზადყოფნა, რომელიც მასში განწყობის სახით არის ფიქსირებული. ყოველი ნორმალური ადამიანის განწყობა ორგანიზმის მოთხოვნილებისა და გარემოსთან ურთიერთობის შედეგად ყალიბდება. ავიწერთ უმარტივეს ცდას: ადამიანს ვახუჭინებთ თვალებს და ხელებში ვაჭერინებთ ორ სხვადასხვა ზომის ბურთს. მარჯვენა ხელში, ვთქვათ, უფრო დიდ ბურთს, მარცხენაში — უფრო პატარას. ამას რამდენჯერმე ვიმეორებთ. შემდეგ — ცდის ობიექტს თვალები ისევ დახუჭული აქვს — ხელებში ვაძლევთ ორ სრულიად ერთნაირი ზომის ბურთს. თუ მას შევეკითხებით, ახლა რომელი უფრო დიდიაო, იგი აუცილებლად მარცხენა ხელზე მიგვითითებს, ე. ი. იმ ხელზე, რომელშიც მანამდე უფრო პატარა ბურთი ეჭირა. ეს კი ნიშნავს, რომ ადამიანს გარკვეული განწყობა შეექმნა. ჩვენ ამას ფიქსირებულ განწყობას ვუწოდებთ. განწყობას მრავალი ნიშანი ახასიათებს. ერთი მათგანი ის არის, რომ იგი გარკვეული დროის განმავლობაში გრძელდება და სხვ... ფიქსირებული განწყობა ყოველ ნორმალურ ადამიანს ახასიათებს. ამ უეჭველ ფაქტზე დაყრდნობით აკადემიკოსმა უზნაძემ საბჭოთა ფსიქოლოგიას მწყობრი ფსიქოლოგიური თეორია და კვლევის მეთოდი შესძინა. მე კი მისი მოწაფე და მიმდევარი გახლავართ.

— კი, მაგრამ თქვენ ხომ ფსიქიატრიაში მუშაობთ, ე. ი. საქმე გაქვთ არანორმალურ ფსიქიკასთან.

— მას შემდეგ რაც აუარებელი ექსპერიმენტული მასალის კვლევით დადასტურდა, რომ ფიქსირებული განწყობა ყველა ნორმალურ ადამიანს ახასიათებს, აკადემიკოს უზნაძეს შევთავაზე ამ თეორიის ფსიქიურად დაავადებულებზე შემოწმება. უზნაძე უყოყმანოდ დამთანხმდა...

1934 წელს იოსებ ბჟალავამ ფუნქციონალურ ნერვულ დაავადებათა ინსტიტუტის პათო-ფსიქოლოგიურ განყოფილებაში დაიწყო ნევროზების შესწავლა განწყობის ცნებისა და კვლევის მეთოდების მოშველიებით. პირველ საგნად ეპილეფსიის ფსიქო-პათოლოგია აირჩია. მუშაობის შედეგმა დაადასტურა, რომ ეპილეფსიით დაავადებულთა განწყობას ბევრი საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი ახასიათებს. იოსებ ბჟალავას გამოკვლევა, რომელიც ამ თავისებურებებს ეხებოდა, საერთოდ განწყობის თეორიის ერთი საყრდენთაგანი შეიქნა და 1938 წელს საკავშირო პრემია დაიმსახურა.

ეპილეფსიის კვლევას განწყობის თეორიის მოშველიებით მოჰყვა სხვა დაავადებების კვლევა და შესწავლა. იმავე წლებში, იოსებ ბჟალავამ პირველმა გამოიყენა ეპილეფსიის მკურნალობის საკუთარი მეთოდი. რამაც კარგი შედეგი გამოიღო და საერთო აღიარება პოვა. დიმიტრი უზნაძის რჩევით იოსებ ბჟალავამ სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა. სამამულო ომის დროს იოსებ ბჟალავა ერთი სამხედრო ჰოსპიტლის მედ-განყოფილებას ხელმძღვანელობდა. დაჭრილ მეომართა მკურნალობასთან ერთად მეცნიერულ მუშაობასაც ეწეოდა. ამ მუშაობის შედეგები მან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის კრებულში გამოაქვეყნა. ნაშრომი სამხედრო ფსიქოლოგიისა და ფსიქო-პათოლოგიის საკითხებისადმი იყო მიძღვნილი. კერძოდ, მასში დახასიათებული იყო ცვლილებები ადამიანის ფსიქიკაში, რომელიც მოსდევს თავის ტვინის შერყევას ჰაერის ძლიერი ტალღით. აქედან დაიწყო განწყობის ცნებისა და კვლევის მეთოდების გამოყენება ნევროლოგიაში.

ჰოსპიტალში მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის იოსებ ბჟალავას ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბმა მადლობა გამოუცხადა.

— ეჭვი არ არის, — განაგრძო პროფესორმა,—ჩვენ არ გვექნებოდა ამდენი წარმატებები ფსიქიურად დაავადებულთა მკურნალობაში, განწყობის თეორია და კვლევის მეთოდები რომ არ არსებობდეს. ნორმალური ადამიანის ფსიქოლოგიის მეცნიერულ თეორიაზე დაყრდნობით და ნორმალური ფიქსირებული განწყობის მრავალი ნიშნისა და თავისებურების ცოდნით ჩვენ ვერკვევით ფსიქიურ დაავადებათა თავისებურებებშიც. რაღა შორს წავიდეთ, განწყობის ცნების მოშველიებით ჩვენ შევძელით ორი სრულიად განსხვავებული დაავადების — შიზოფრენიისა და ნაადრევი ჭკუასუსტობის გარჩევა. მანამდე ამ ორ დაავადებას ერთმანეთისაგან ვერ განასხვავებდნენ და ერთნაირად მკურნალობდნენ, რაც ცუდ შედეგს იძლეოდა. ამ საკითხს მე მთელი მონოგრაფია მივუძღვენი...

ფსიქოზების ფსიქო-პათოლოგიაში მუშაობის დროს დადგა უდიდესი მნიშვნელობის საკითხი — განწყობის ცნების ურთიერთობა აკადემიკოს პავლოვის ფიზიოლოგიურ მოძღვრებასთან. ამ სფეროში აკადემიკოსმა უზნაძემ ვრცელი გეგმა შეიმუშავა. ამ გეგმის განხორციელება კვლავ იოსებ ბჟალავას ხვდა წილად. რამდენიმე წლის განმავლობაში მან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში ამ საკითხებისადმი მიძღვნილი მთელი რიგი გამოკვლევები გამოაქვეყნა. ამავე ხნის განმავლობაში იოსებ ბჟალავამ მოხსენებები წაიკითხა საბჭოთა ფსიქოლოგების სამივე საკავშირო ყრილობაზე ქ. მოსკოვში. დადასტურდა, რომ განწყობა ერთადერთი ფსიქოლოგიური ცნებაა, რომელსაც ნეიროფიზიოლოგიური დასაბუთება აქვს. არსებითად ამან განსაზღვრა საკავშირო ფსიქოლოგიური დისკუსიის მსვლელობა, რომელიც განწყობის ცნების საყოველთაო აღიარებით დამთავრდა.

— ძალიან სასიხარულოა! მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს, რას აძლევს ფსიქოლოგიური მეცნიერება, ან თუნდაც იგივე განწყობის თეორია არა ფსიქიურად დაავადებულებს, არამედ ნორმალურ ადამიანებს, საზოგადოებას?

— ძალიან ბევრს მისცემს და ძალიან დიდად გამოადგება. ჩვენს საუკუნეს კიბერნეტიკის საუკუნეს უწოდებენ. ავტომატები უკვე ცვლიან და მალე უფრო მეტად შეცვლიან ადამიანის შრომას. რაც შეეხება ფსიქოლოგიას, საქმე ის არის, რომ კიბერნეტიკული მექანიზმით აღჭურვილი ავტომატის მოქმედება ემყარება უკუქცევით ინფორმაციას, რითაც ეს მანქანა უახლოვდება ადამიანის ორგანიზმს. ჩვენმა გამოკვლევებმა, ე. წ. ბადებრივი ფორმაციის განხილვამ გვიჩვენა, რომ უკუქცევითი ინფორმაცია ადამიანის ორგანიზმში სწორედ ფიქსირებულ განწყობას ეყრდნობა. ეს არის კიბერნეტიკისა და ფსიქოლოგიის თანამშრომლობის რეალური საფუძველიც. მხოლოდ ამ გზით გახდება შესაძლებელი ისეთი ავტომატების შექმნა, რომლებიც მაქსიმალურად დაემსგავსება ადამიანის ორგანიზმს, შეეგუება გონებრივი და პროფესიული შრომის მოთხოვნებს.

კიბერნეტიკული პრინციპების ნიადაგზე ფსიქოლოგიაში მუშაობას მოჰყვა მეხსიერების, აღქმის, აზროვნების მოდელების შექმნა. ეს, უპირველეს ყოვლისა იძლევა ამ პროცესების დეტალური შესწავლის შესაძლებლობას. მეორეც — იქმნება იმის პირობები, რომ ადამიანის ფსიქიკური მოქმედების რიგი მხარეები მექანიზირებული (ფორმალიზირებული) იქნას და მანქანას გადაეცეს.

ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში განვითარების ახალი ეტაპი იწყება. იგი მეცნიერების სხვა დარგებთან ერთად ებმება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის ავტომატიზაციისა და შრომის ორგანიზაციის საქმეში. ეჭვი არ არის, რომ ფიქსირებული განწყობის თეორია დიდ როლს შეასრულებს ამ საქმეში.

რ. კობიძე.

# გამომძიებლის დღიური

ორდე დგებუაძე

მოთხრობა

ახლა რაისა მინდიაშვილის ამბავი მაწუხებდა. ვიცოდი, რომ ეს ქალი მოუთმენლად მელოდა, სანამ გამოვჩნდებოდი გულს საგულეში რომ ვერ იტევდა. რასაკვირველია, შემეძლო შევხვედროდი, მეთქვა, რომ ისინი, რომლების შიშით ის და დედამისი სასთუმალზე თავს მშვიდად ვერ დებდნენ, მართლმსაჯულების ხელში იყვნენ, შემეძლო მეხარებინა, რომ მისი მოძულე, იგორიც გათოკილი იყო და, რომ აწი უშიშრად შეეძლო ეცხოვრა. დიახ, შემეძლო ნუგეში მიმეცა და ყველაფერი ის, რაც მე და პირტახიამ ჩავიდინეთ, ჩემი გამოგონილი მეგობრისათვის გადამებრალებინა. მაგრამ მერე? საჩამდი უნდა დამემალა ჩემი ვინაობა?

იქნებ ჯობდა სულაც არ მენახა ეს ქალი? თუ შემთხვევით შემხვდებოდა, გავცლოდი, ზურგი შემექცია?

არა.

ამ ადამიანს შველა სჭიროდა. რაისას, მისდა უნებურად დანაშაულებათა მონაწილეს, თუ პატრონი არ გამოუჩნდებოდა, იქნებ, ტამანოვს სტასსა და საიდოვს გადაჰყოლოდა.

თუ არა მე, მისთვის ვის უნდა ეპატრონა? თუ არა მე, ვის უნდა გადაერჩინა დამნაშავე, რომელსაც დანაშაულის ჩადენა არასოდეს არ განუზრახავს?

შევძლებდი თუ არა ასეთ სიკეთეს თუ რაისას ყველაფერში გულწრფელად არ გამოვუტყდებოდი და არ დავარწმუნებდი, რომ როგორც მე, ასევე უფროსს და ყველას, ვისაც ეს საქმე ეკითხებოდა, მისთვის სიკეთე გვსურდა.

მე კი ამ ქალთან მისვლა და ყველაფერში გამოტყდომა მიმძიმდა.

უფროსი ერთ ხანს მარწმუნებდა, მეუბნებოდა—რაისა გაიხარებს, როცა მას ასე დაახლოვებული ადამიანი მისი საქმის გამომძიებლად მოევლინებაო მაგრამ მე მაინც ჩემსას არ ვიშლიდი, მინდოდა რაღაც სხვა საშუალება გამომენახა.

უფროსმა ჩემი ასეთი ახირება ცოტა არ იყოს იწყინა და მკვახედ მითხრა: შენ კი, დაკითხვაზე ეჭვმიტანილებს ყოველდღე ჩასჩიჩინებ—იყავი გულწრფელი, თუ ადამიანად გინდა დარჩე, მართალი უნდა იყოო და, როცა შენი ჯერი დადგა, როცა შენ სიმართლის თქმა გთხოვეს, გაგიჭირდა, არა?

რა უნდა მეთქვა? ის მართალი იყო.

გადაწყდა. მინდიაშვილის ქალს უნდა შევხვედროდი, მეთქვა სიმართლე. დამერწმუნებინა რაისა, რომ ძიებისათვის ზგაემხილა ყველაფერი ის, რაც მე მან ხარკოვის გზაზე მიამბო, კიდევ უფრო მეტი, ყველაფერი, ყველაფერი რაც ამ ადამიანებზე იცოდა და, პატიება ეთხოვა.

ახლა გადასაწყვეტი იყო, სად და როდის შევხვედროდი რაისას. ერთბაშად, ერთ დღეს მეთქვა ყველაფერი თუ ნელ-ნელა შეპარვით, ისე, რომ არც მე და არც რაისას გაჭირვებოდა.

უფროსმა ეს ამოცანაც გადაწყვიტა.

მარტის მოწმენდილ ცის კაბადონზე მზე ლაღად ანათებდა. ქალაქში შემოჭრილ დილის ნიავს საამო სურნელებასთან ერთად რაღაც ახალი, თითქოს ჯერ შეუგრძნობი სანუკვარი ხალისი შემოჰქონდა. სიცოცხლისა და სიამის მახარობელი გაზაფხული წელში გამართულიყო. მზის შუქით სავსე პლეხანოვის პროსპექტზე ხალხი უხვად გამოფენილიყო და ახალგაღვიძებულ ბუნების სიდიადით ტკბებოდა. საათმა ათჯერ ჩამოჰკრა და მე, მეასთოთხმეტე სახლის ალაყაფის კარების პირდაპირ ქვაფენილზე ჯიხურს ამოვეფარე.

სისხლის სამართლის განყოფილებაში გამოძახებულ რაისა მინდიაშვილის გამოჩენას ველოდი.

დიდხანს არ დამჭირდა ლოდინი.

სულ მალე, რაისამ ქუჩაში ზანტად გამოალაჯა და შედგა, ისე მიიხედ-მოიხედა, თითქოს არც კი იცის საით წავიდესო. ტრამვაის გაჩერებისაკენ გასწია. მეც ჩქარი ნაბიჯით წავედი იქითკენ, საითკენაც მინდიაშვილის ქალი მიდიოდა. გავუსწარი. ქვაფენილიდან ქუჩაზე ჩამოვედი, რაისას შესახვედრად გავემართე. ტროტუარზე ფეხი ავდგი და მინდიაშვილმა უნებლიედ ჩემსკენ მოიხედა. დამინახა. თვალები ჩაწითლებოდა. გაფითრებული ისე გამოიყურებოდა, როგორც შავსვიანობას შერიგებული ადამიანი, ადამიანი, რომელსაც არ ძალუძს თავი ინუგეშოს, რამე იღონოს. თბილოდა, მაგრამ რაისას საზამთრო პალტო შეეკრა და შეციებულივით მობუზულიყო.

დამინახა. თითქოს იმედის სიომ გადაუქროლაო, წამით თვალები ფართოდ გაახილა და ერთბაშად გამოიწია ჩემსკენ, მაგრამ მომიახლოვდა და უიმედოდ ამოიოხრა, აცრემლებული თვალები ამარიდა.

— რა იყო? ავად ხომ არა ხარ?—ვკითხე და ხელი გავუწოდე. მან სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უწყება უსიტყვოდ მომაჩეჩა. შებრუნდა, ორიოდე ნაბიჯით დამშორდა და შედგა.

უწყება გადავიკითხე. შევყოყმანდი, საათს დავხედე, თერთმეტის ნახევარი იყო. თერთმეტ საათზე სამძებრო განყოფილების უფროსი იბარებდა რაისას.

მოკუნტულ ქალთან მივედი, მრავალმნიშვნელოვნად გავიღიმე. ალბათ, ყველაფერი დაროშეს-მეთქი, ჩავილაპარაკე და რაისამაც ყურები დაცქვიტა.

— როგორ! დააპატიმრეს?—ფერდაკარგულს სახეზე ალმური მოედო.

— დიახ, მათი მეთაური, იგორ ტამანოვიც დაუპატიმრებიათ. და მეც... სწორედ, მახარობლად მოვდიოდი შენთან,—თავი ჩავღუნე, ჯიბეში პაპიროსის კოლოფი მოვნახე,—როგორ ვიფიქრებდი ვაჟკაცები ქალს რომ არ დაგინდობდნენ.—სინანულნარევი ხმით ჩავილაპარაკე და მოღუშულ, გაოგნებულ ქალს მივაცქერდი.

ცოტა ხანი და ქალმა ტუჩები მოილოკა, ამოიოხრა, ლამაზ შუბლზე ხელი გადაისვა და თვალი თვალში გამიყარა.

— იგორიც?!—შეურვებულ სახეს წამით სიხარულის შუქი მიენათა. მის ჩაწითლებულ თვალებში კმაყოფილების ნაპერწკალმა გაიელვა,—ღმერთო ჩემო, რა კარგია! რა კარგია, რომ ეს ავაზაკები... მაგრამ მე რა მეშველება, უბედურს!—ისევ ნისლი ჩაუდგა თვალებში,—დედაჩემი მეცოდება, შორემ, ჩემი უბედური თავი ეშმაკსაც წაუღია.

თითქოს ფიქრებში წასულს მისი სიტყვები არ გამეგონოს. ცოტახანს ვიდექი უხმოდ, წარბშეუხრელად, მერე ქალს მივუბრუნდი, მკლავში ხელი წავავლე, ღონივრად შევანჯღრიე და იმედიანი ხმით ვუთხარი:

— ნუ გეშინია, ღმერთია მოწყალე, მე აქა ვარ, არაფერს გაგიჭირვებ. ქალმა სული მოითქვა. მერე, ოდნავ გასაგონი ხმით მკითხა:

— შეგიძლია მიშველო, სანდრო?

— შემიძლია, როგორ არ შემიძლია! ბოშების საქმე ჩემს მეგობარს აქვს-მეთქი, ხომ გითხარი? უფროსიც, ის ვინც შენ გეძახის, ჩემი კარგი ამხანაგია. ნუ გეშინია, შენი შველა არ გამიჭირდება,—მკლავში ხელი გავუყარე, ორიოდე ნაბიჯით გავიყოლიე და დავდექი. ისე გავილურსე, თითქოს ძნელად გადასაწყვეტმა საქმემ ჩამაფიქრაო. რაისასაც სუნთქვა შეკვროდა.

როგორც იყო ფიქრებს თავი წავართვი, უწყება ჯიბეში ჩავიდე და რაისას მივუბრუნდი:

— წადი, ჩემს მოსვლამდე შინ იყავი. დარდი ნუ გაქვს. ყველაფერს მოვაგვარებ. მალე შენთან გავჩნდები.

— შინ... მერე...რომ მომაკითხონ,—ახლა ის უფრო თამამად, უფრო დაიმედებული ხმით მელაპარაკებოდა,—არა, შინ ვერ გავჩერდები, მარფა პეტრეს ასულთან წავალ, იქ დავიცდი, იქნებ ამ ქალმაც მითხრას რამე იგორზე.

— ვინ არის მარფა პეტრეს ასული?—ვკითხე და ამ უცნობი ქალის ხსენებამ ათასი ეჭვები აღმიძრა.

— მარფა, იგორის ძველი ნაცნობია. ათიოდე წლის წინ, იგორსა და მის რომელიღაც თანამოსაქმეს ამ ქალის ოჯახში უცხოვრია. მარფა პეტრეს ასულისაგან რატომღაც დიდად დავალებული იყო იგორ ტამანოვი. ხშირად ფულსაც მიგზავნიდაო, არა ერთხელ უთქვამს ჩემთვის ამ ქალს... თუ თბილისში ჩამოვიდა, უთუოდ ნახავდა...

— საინტერესოა...—სიტყვა გავაწყვეტინე და მერე, ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, თუ შორს ცხოვრობს, იქ რა გინდა-მეთქი, ვუთხარი და ჩავფიქრდი, მოხერხებულად მინდოდა მეკითხა მარფას მისამართი, მაგრამ რაისამ არ დააყოვნა: არა, შორს კი არა, აქვეა, ამ ქუჩაზეო, მიპასუხა და ხელი ორსართულიანი ცისფერი სახლისაკენ გაიშვირა.

— ნეტავ ასეთი რა პატივი სცა მარფა პეტრეს ასულმა?—ჩავილაპარაკე რაისას პასუხით კმაყოფილმა და მოუთმენლობა რომ არ შეეტყო, თვალი ავარიდე, ჯიბეში რაღაცას ძებნა დავუწყე.

— რა მოგახსენო, ეგ ქალი დიდი საიდუმლოებით ინახავს ამ ამბავს.

— ერთი სიტყვით, იგორისა და მარფას დამოკიდებულება ჩვენთვის საინტერესო არ არის. შენი საქმე დამთავრდეს კეთილად და...—მივუგე მშვიდად, მკლავში ხელი გავუყარე, თავის ეზოსკენ გავიყოლიე.

— არავითარი მარფა, შინ იყავი, მე დამელოდე. შინ, ჩემს გარდა სხვა არავინ მოგაკითხავს, იმ ქალთან კი, ვინ იცის, იგორმა იქნებ მარფა პეტრეს ასულის შესახებაც ილაპარაკა,—იქნებ მიაკითხონ და შენ იქ რომ დაუხვდე...

ქალს ფერი ეცვალა. წამით ჩაფიქრდა. მერე თვალებში მორჩილებით ჩამხედა, თავი დამიქნია:

— მართალი ხარ, საშიშია, შინ წავალ, დაგელოდები.

ქალმა თავის ეზოში შეალაჯა, მე კი, ტრამვაის შემდგარ ვაგონისაკენ გავიქეცი.

... რაისა თვალს მიეფარა და ვაგონიდან გადმოვხტი.

პროფესიონალური ცნობისმოყვარეობა მაწვალებდა. მარფა პეტრეს ასულის ნახვა, მასთან საუბარი საქმისთვის სასარგებლო მეჩვენებოდა.

რატომ უნდა ყოფილიყო ამ ქალისაგან იგორი დიდად დავალებული? რად უნდა უგზავნიდეს ხშირად ფულს? მას რომელიღაც თანამოსაქმესთან ერთად ამ ქალის ოჯახში უცხოვრია და სხვა არაფერი.

მაშ რაშია საქმე?

იქნებ მარფას გარეგნობამ მოხიბლა იგორი?...

...იმ ორსართულიან ცისფერი სახლის ეზოში ფეხაკრეფით შევედი, რომელზედაც რაისამ მიმითითა.

მეეზოვეს საბინაო დავთარი გამოვართვი და «მართა პეტრეს ასულს» დავუწყე ძებნა, ვნახე. ენაწყლიანმა მეეზოვემაც მითხრა, რომ მართა პეტრეს ასული სოკოლოვი სამოცდარვა წლისა იყო. ოცი წლის წინ დაქვრივებულ, მარტოხელა ქალს ორი ოთახი ეჭირა. ერთ ოთახს ფილარმონიისა და ცირკის მსახიობებზე აქირავებდა. პენსიის ფულითა და ამ მცირედი შემოსავლით ისა და მისი ორი კატა კმაყოფილები იყვნენ.

...განყოფილებაში დაბრუნებულს, რაღაც ერთ საათში, მარფა პეტრეს ასული მომგვარეს.

სოკოლოვის ქალი ისე მივიღე, თითქოს მის შესახებ ყველაფერი ვიცოდი და, რომ ჩვენება მისი საქმისათვის დიდად საინტერესო არ იყო.

მარფა პეტრეს ასული დინჯი და დაკვირვებული ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებდა. მიუხედავად ხანდაზმულობისა, წელში თამამად გამართული ტანმაღალი ქალი, ყოჩაღად გამოიყურებოდა.

შეკითხვისთანავე დაადასტურა, რომ იგორ ტამანოვი 1926 წელს სამი დღე მის ბინაზე ცხოვრობდა.

— მერე? მე მაინტერესებს, რად გაგიმხილათ ტამანოვმა თავისი საიდუმლოება, რად დაგენდოთ ასე?—თითქოს სხვათა შორის ვკითხე და მშვიდად მივაცქერდი.

(იხ. ჟურნ. „დროშა“ № 4, 6, 7, 8, 9).

— ქრისტეს გეფიცებით, დღესაც არ ვიცი ვისია ის გოგონა,—პირჯვარი გადაიწერა, თვალები ჭერს მიაპყრო წამით და დამაჯერებელი ხმით განაგრძო,— დამიჯერეთ, მენდეთ, ყველაფერს გეტყვით, რაც მინახავს და გამიგონია.

— კეთილი, ჩვენც სწორედ ეგ გვინდა.

— იმ დღეს ტამანოვი და მისი მეგობარი დაფეთებულებივით მოვარდნენ. ერთ მათგანს, თუ არ ვცდები სტასს, ხელში ლაბადაში გახვეული სამი-ოთხი წლის მძინარე ბავშვი ეჭირა.

მძინარე ბავშვი... კიდევ ახალი ამბავი... ნუთუ ბავშვი გაიტაცეს?...

— ბავშვის ვინაობაზე არაფერი უთქვამთ?

— ვინაობა... არც მინდოდა მცოდნოდა დარწმუნებულს, რომ ის მოტაცებული იყო.

— რატომ დროზე არ განაცხადეთ ამაზე?

— დაბეზღება? მე ღვთის მორწმუნე ქალი ვარ და, ამ სიბერის დროს...

— ღვთის მორწმუნე...—ჩემდაუნებურად გამეცინა,—არ მეგონა, რომ ავაზაკებს მფარველობდა.—მარფა პეტრეს ასული წამოჭარხლდა, თავი დახარა,—საინტერესოა, საიდან დაასკვენით რომ ბავშვი მოტაცებული იყო?

— ისინი სამი დღე ცხოვრობდნენ ჩემს ბინაზე და საერთოდ ბავშვზე ერთხელაც არაფერი წამოსცდენიათ, იმ დილით სახლიდან ადრე გასული იგორი გახელებულივით შემოვარდა, წამოწოლილ სტასს ხელი წაავლო, წამოაყენა. აბა, ჩქარა, ვიპოვე, უნდა მიშველოო, უთხრა და გაოგნებული ამხანაგი წინ გაიგდო.

ვიპოვე... უნდა მიშველო. რას ნიშნავს ეგ სიტყვები?! მერე ბავშვი, ვისი ბავშვი უნდა ეპოვა?! თავისი? თუ თავისი იყო, რად მალავდა? არა, აქ რაღაც სხვა ამბავია, სხვა ამბავი, უფრო რთული და უფრო საინტერესო,

— განაგრძეთ, — ვუთხარი ქალს, რომელსაც ხელჩანთიდან ბურნუთის კოლოფი ამოეღო და ცხვირთან მიეტანა.

— მერე... — ცხვირი დააცემინა, აბრეშუმის განიერი ნაჭერი მოიშველია, აცრემლებული თვალები მოიწმინდა,—არც ერთი მათგანი გარეთ არ გასულა დაღამებამდე. ბავშვმა გაიღვიძა, წამოიტირა, მაგრამ რატომღაც უმალ მიიძინა.

— რამდენი ხანი დარჩნენ თქვენთან?

— იმ ღამესვე გაემგზავრნენ. გამომშვიდობების დროს იგორმა ოცი ხუთთუმნიანი გადმომცა და ამ ბავშვზე არსად არაფერი წამოგცდესო, მითხრა. —ქალმა ღრმად ამოისუნთქა და დასძინა,—ეს იყო და ეს, იმის შემდეგ იგორისთვის თვალი არ მომიკრავს.

— არც სტასისთვის?

— არა.

— ის კი შორიდან მაინც არ გივიწყებდათ.

— მართალი ბრძანდებით, ხშირად მიგზავნიდა ფულს, მაგრამ რატომ, ამაზე არაფერი მოუწერია?

— თქვენ როგორ ფიქრობთ?

— მე მგონი, ამით მავალებდა ბავშვზე არაფერი წამომცდენოდა.

მარფა პეტრეს ასული მართალი იყო, იგორი მას არ ივიწყებდა მხოლოდ იმიტომ, რომ მის მიერ გატაცებულ გოგონაზე არაფერი ეთქვა.

ვინ იყო ის ბავშვი: რად სჭიროდათ ავაზაკებს ბავშვი—ზედმეტი საზრუნავი?!

იქნებ შურისძიება... იქნებ მოტაცებულის მშობლებს თანხა გამოძალეს?...

ბავშვის მოტაცების საქმე უნდა დამეძებნა არქივში.

* * *

საღამოს ცხრა საათი იყო, როცა მინდიაშვილის ქალი წერეთლის ქუჩისა და თავისუფლების მოედნის კუთხემდი მივაცილე. რაისა ახლა წელში თამამად გამართულიყო, სახეზე სიფითრე გადაწმენდოდა. მას სჯეროდა ჩემი, სჯეროდა ისე, როგორც ალალი ძმის, როგორც ჭირში და ლხინში მრავალჯერ გამოცდილი მეგობრის. ის ახლა დარწმუნებული იყო, რომ სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებაში, გამომძიებელი თუ უფროსი ისე მოეკიდებოდა, როგორც მე, მისი პატრონი, ნათესავი.

რაისა, გზადაგზა ჩემს თვითეულ სიტყვას გულისყურით უსმენდა, სჯეროდა, რომ ბოშებმა მათ «ჩაგდებაში» ეჭვი მასზე მიიტანეს და ახლა ცდილობენ შური იძიონ, ისიც ჩაითრიონ. სჯეროდა, რომ მე სამძებრო განყოფილება დავარწმუნე, ეს გულუბრყვილო, კეთილი და პატიოსანი ქალი დაშინებული ჰყავდათ ამ კაციჭამიებს და ახლა, როცა ისინი დაპატიმრებულნი არიან, მინდიაშვილი ძიებას ყველაფერში სიხარულით დაეხმარებოდა.

რაისას მართლა გულით უნდოდა გამოძიებას დახმარებოდა. მას მართლაც არაფერი სწამდა ამ სულის მტრების. გარდა იმისა, რომ ამ ქალს უშიშარი და პატიოსანი ცხოვრება სწყუროდა, საყვარელი მეუღლის მკვლელები უხსენებელივით სძულდა და მოხერხებულ შემთხვევაში, მათზე შურს კმაყოფილებით იძიებდა.

ის აქამდიც სიამოვნებით ამხელდა მათ ბოროტებას, მაგრამ თავისი ბედისა ეშინოდა. დარწმუნებული იყო მათი დანაშაულებათა გამომჟღავნების შემთხვევაში, როგორც ბნელი საქმეების ნებსით თუ უნებლიეთ მონაწილეს, არც რაისას დაადგებოდა კარგი დღე.

ახლა კი, როცა ისინი მის გარეშედაც გათოკეს, როცა მას საიმედო პატრონი გამოუჩნდა, როცა დარწმუნდა, რომ ძიება გულისხმიერად მოეკიდებოდა, მინდიაშვილის ქალმა გადაწყვიტა, სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებაში მისვლა, გულწრფელი ჩვენების მიცემა.

მე მას თბილისის საბჭოს შენობის წინ დავშორდი და ვუთხარი, რომ იქ დაველოდებოდი.

რაისა წერეთლის ქუჩიდან შევიდა სამძებრო განყოფილებაში, მე კი, ამავე შენობაში შესასვლელად ველიამინოვის ქუჩისკენ გავსწიე.

...შუაღამე გადასულიყო. ტელეფონი აწკრიალდა. ყურმილში უფროსის ხმა მომესმა: შეგიძლია დაისვენოთო, მითხრა და პასუხს არ დაელოდა. მანიშნა, რომ მან მინდიაშვილის ქალის დაკითხვა მოათავა და შინ ისტუმრებდა.

(გაგრძელება იქნება)

# ხომლელი

## (დაბადებიდან 100 წლისთავის გამო)



გასული საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია გამოჩენილ პუბლიცისტს, კრიტიკოსსა და ჟურნალისტს რომანოზ სპირიდონის ძე ფანცხავას, რომელიც ლიტერატურაში ცნობილია ხომლელის ფსევდონიმით. მის კალამს 140-ზე მეტი შესანიშნავი კრიტიკული წერილი, სამეცნიერო-პოლიტიკური სტატია და მონოგრაფია ეკუთვნის.

რომანოზ ფანცხავა (ხომლელი) დაიბადა სოფ. ხომლში (ქუთაისის მაზრა) 1861 წლის 14 ოქტომბერს, დეკანოზის ოჯახში. რომანოზმა წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი და სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო, მაგრამ მოსწავლეთა შორის რევოლუციური მუშაობისათვის იქიდან გარიცხულ იქნა „მგლის ბილეთით". მაშინ რომანოზი შევიდა ოდესის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე თავისუფალ მსმენელად. აქ იგი ეწაფება მარქსისტულ ლიტერატურას. აქტიურ მონაწილეობას იღებს სტუდენტთა არალეგალურ წრეებში, კავშირს ამყარებს ოდესის მუშებთან და ეხმარება მათ გათვითცნობიერებაში.

ალ. ნებიერიძესთან ერთად რ. ფანცხავა იყო გაზეთ „თეატრის" რედაქტორ-გამომცემელი. ამავე დროს გრ. ჩარკვიანთან ერთად ხსნის წიგნის მაღაზიას და ხელმძღვანელობს ქართული კლასიკური ლიტერატურის გამოცემის საქმეს.

1893 წლიდან, გაზ. „თეატრის" დახურვის შემდეგ, რ. ფანცხავა თანამშრომლობს ჯერ გაზ. „კვალში", ხოლო შემდეგ ჟურნალ „კრებულში", გაზ. „ივერიასა" და ჟურნალ „მოამბეში", სადაც ხომლელის ფსევდონიმით აქვეყნებს კრიტიკულ და პუბლიცისტურ წერილებს.

1915-1917 წლებში ხომლელი რედაქტორობს ჟურნალებს „განთიადი", „ცხოვრება", „თავისუფლება", სადაც სისტემატურად იბეჭდებოდა მისი წერილები. უნდა ითქვას, რომ პირველი წერილი ქართულ ლიტერატურაში ბ. ბელინსკიზე, ჰ. სენკევიჩზე, ე. ვერჰაინსა და ჯ. ლონდონზე ხომლელს ეკუთვნის.

ხომლელი გარდაიცვალა 1928 წელს. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში. მას ბევრი გამოუქვეყნებელი წერილი და სხვა მასალები დარჩა, რომლებიც დაცულია საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში. კარგი იქნება, თუ ხომლელის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით გამოიცემა მისი რჩეული კრიტიკული და პუბლიცისტური წერილების კრებული.

დ. შულღიაშვილი.

# ფ. ნანსენი

## (დაბადებიდან 100 წლისთავის გამო)



გამოჩენილი ნორვეგიელი მოგზაურის, არქტიკის მკვლევარის, ოკეანოგრაფისა და საზოგადო მოღვაწის ფრიტიოფ ნანსენის ცხოვრება კაცობრიობისადმი უანგარო სამსახურის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს.

1888 წელს ნანსენმა თხილამურებით პირველმა გადაკვეთა გრელანდია და ძვირფასი გამოკვლევებით გაამდიდრა მეცნიერება.

კიდევ უფრო გაბედული ნაბიჯი იყო მისი ჩრდილოეთ პოლუსის დასაპყრობად გამგზავრება (1893 წ.). როცა საგანგებოდ აგებული ხომალდი „ფრამი" ყინულებში ჩაიჭედა, ნანსენი არ შეუშინდა სიძნელეებს და ექსპედიციის წევრ ი. იოჰანსონთან ერთად ფეხით განაგრძო გზა.

გმირმა მოგზაურებმა მიაღწიეს ჩრდილოეთი განედის 86° და ენით აუწერელი გაჭირვების მიუხედავად მრავალი უძვირფასესი მეცნიერული გამორკვევა მოახდინეს.

ნანსენმა იმოგზაურა ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში, იყო შპიცბერგენზე, ამერიკაში და სხვა ქვეყნებში.

სახელმოხვეჭილი მკვლევარი ფრიტიოფ ნანსენი 1898 წელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად აირჩიეს.

მოგზაურობასა და მეცნიერულ მუშაობას იგი საუკეთესოდ უთავსებდა ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას.

წლების მანძილზე ნანსენი იყო ერთა ლიგის უმაღლესი კომისარი სამხედრო ტყვეების საქმეში. ამ პოსტზე ყოფნის დროს იგი მთელი შესაძლებლობით იბრძოდა კეთილშობილური იდეებისათვის, ხალხთა შორის მეგობრობისა და სიყვარულის განმტკიცებისათვის.

აღსანიშნავია ის დიდი სიმპატია, რომლითაც ნანსენი ეკიდებოდა ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანას.

ფ. ნანსენი გარდაიცვალა 1930 წლის 13 მაისს.

ო. ქამთარაძე.

# დიდი რუსი მოჭადრაკე ალექსანდრე ალიოხინი

ვ. გოგლიძე.
საერთაშორისო ოსტატი.

მიმდინარე წელს შესრულდა 15 წელი დიდი რუსი მოჭადრაკის ალექსანდრე ალიოხინის გარდაცვალებიდან.

ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე ალიოხინი დაიბადა 1892 წლის 1 ნოემბერს მოსკოვში ბურჟუაზიულ-არისტოკრატიულ ოჯახში. მან ადრე ისწავლა ჭადრაკის თამაში და უკვე 16 წლისამ მიიღო ოსტატის წოდება. 1914 წელს იგი მიიწვიეს პეტერბურგის საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს იმ დროის უძლიერესმა მოჭადრაკეებმა — მსოფლიო ჩემპიონმა ემანუილ ლასკერმა, მომავალმა მსოფლიო ჩემპიონმა ხ. რ. კაპაბლანკამ, დიდოსტატებმა რუბინშტეინმა, ტარაშმა, ნიმცოვიჩმა, მარშალმა, იანოვსკიმ და სხვებმა. ამ უძლიერესი შემადგენლობის ტურნირში ალიოხინმა მესამე ადგილი დაიკავა ლასკერისა და კაპაბლანკას შემდეგ.

ალიოხინი ოცნებობდა მსოფლიო ჩემპიონის წოდების მოპოვებაზე. ამ ოცნების განსახორციელებლად იგი, 1921 წელს საზღვარგარეთ გაემგზავრა, სადაც ექვსი წლის მანძილზე (კაპაბლანკასთან მატჩამდე) მონაწილეობდა მთელ რიგ საერთაშორისო ტურნირებში და მეტად მაღალ შედეგებს აღწევდა. 1921 წლიდან ალიოხინი სამშობლოში აღარ დაბრუნებულა რასაც შემდეგში მწარედ ნანობდა.

ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ 1927 წელს გაიმართა მატჩი მსოფლიო პირველობაზე ალიოხინსა და ხ. რ. კაპაბლანკას შორის. ორ თვეზე მეტს გრძელდებოდა ამ უდიდეს მოჭადრაკეთა ორთა ბრძოლა. სულ გათამაშდა 34 პარტია. ეს მატჩი ალიოხინმა დიდი ალმაცლობით ითამაშა და დამსახურებულად გაიმარჯვა. მან მოიგო ექვსი პარტია, წააგო 3 და 25 ყაიმით დაამთავრა.

მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ ალიოხინი კიდევ ბევრ შესანიშნავ წარმატებას აღწევს საერთაშორისო ტურნირებსა და მატჩებში. მან აღიარა, რომ მძიმე შეცდომა დაუშვა, როდესაც სამშობლო მიატოვა. 1935 წლის 29 ოქტომბერს ალიოხინმა საბჭოთა მოჭადრაკეებს ასეთი შინაარსის დეპეშა გამოუგზავნა:

„არა მარტო როგორც ჭადრაკის მრავალი წლის მუშაკი, არამედ როგორც ადამიანი, რომელმაც გაიგო იმის დიდი მნიშვნელობა, რასაც საბჭოთა კავშირში მიაღწიეს კულტურულ ცხოვრების ყველა სფეროში, ვუგზავნი მხურვალე მილოცვას საბჭოთა მოჭადრაკეებს ოქტომბრის რევოლუციის 18 წლისთავის გამო“.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ უნდა გამართულიყო მატჩი მსოფლიო პირველობაზე ა. ალიოხინსა და მ. ბოტვინიკს შორის საბჭოთა კავშირში. ამ მატჩს განხორციელება არ ეწერა, რადგან 1946 წელს ალიოხინი მოულოდნელად გარდაიცვალა ლისაბონში.

ალექსანდრე ალიოხინმა მდიდარი საჭადრაკო მემკვიდრეობა დატოვა. თავისი სიცოცხლის მანძილზე მან სულ 1264 სატურნირო და სამატჩო პარტია ითამაშა, საიდანაც 735 მოიგო, 127 წააგო და 402 ყაიმით დაამთავრა. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ კაპაბლანკამ, თავისი საჭადრაკო კარიერის მანძილზე მხოლოდ 351 პარტია ითამაშა (აქვე აღვნიშნავთ, რომ იგი იყო კუბის დიპლომატიური წარმომადგენელი სხვადასხვა ქვეყანაში).

ალიოხინმა უდიდესი წვლილი შეიტანა ჭადრაკის თეორიაში. მან მრავალი წიგნი დაწერა, გამოაქვეყნა ტურნირებში გათამაშებული პარტიების კრებულები.

ალიოხინს უდიდესი საჭადრაკო ნიჭი ჰქონდა. იგი უბადლო იყო კომბინაციების სფეროში. აი, როგორ ახასიათებდა ალიოხინს ლასკერი:

„ალიოხინი კომბინაციიდან გაიზარდა. იგი მასში შეყვარებულია. ყოველივე სტრატეგიული მისთვის მხოლოდ მომზადებაა, თითქმის აუცილებელი ბოროტება. მოულოდნელი დარტყმა და სვლები — აი მისი სტიქია. როდესაც მოწინააღმდეგის მეფეს არაფერი ემუქრება, ალიოხინის თამაშს ალმაფრენა არ ეტყობა. მისი ფანტაზია გასაქანს პოულობს მეფეზე იერიშისას. მას უყვარს, როცა დაფაზე ბევრი ფიგურაა. ალიოხინს სტრატეგია მიაჩნია საშუალებად უფრო მაღალი მიზნების მიღწევისათვის, საიერიშო სიტუაციის შექმნისათვის“.

ჩვენმა ახალგაზრდობამ, პირველ რიგში ალიოხინის მდიდარი შემოქმედება უნდა შეისწავლოს. როცა ალიოხინი გარდაიცვალა სასტუმროს ნომერში ნახეს უბის წიგნაკი, სადაც მსოფლიო ჩემპიონის ხელით ეწერა: „უსამშობლო ადამიანი ყველაფერში მარტოა, — მარტოა დიდების დროს, მარტოა დაცემის დროსაც, მარტოა სიკვდილისას“. ასეთი იქნება ფილმის პირველი კადრები, რომელსაც მომავალ წელს უშვებს „მოსფილმი“ დიდოსტატ კოტოვის სცენარის მიხედვით. ფილმი ალიოხინს მიეძღვნება.

ქვემოთ მოგვყავს ა. ალიოხინის ორი პარტია:

ჰოლანდიური პარტია
ჰასტინგსი, 1922 წ.

ბოგოლიუბოვი (თეთრები) —
ალიოხინი (შავები)

1. d4 f5 2. c4 მf6 3. g3 e6 4. კg2 კb4+ 5. კd2 კ:d2+ 6. მ:d2 მc6 7. მf3 0—0 8. 0—0 d6 9. ლb3 მფh8 10. ლc3 e5! 11. e3 (არ შეიძლება პაიკის მოგება, რადგან „e5“-ზე გაცვლის შემდეგ მხედარი „d2“ დაუცველი რჩებოდა) 11...a5 12. b3 ლe8 (ამ სისტემისათვის დამახასიათებელი მანევრია. ლაზიერი გადადის „h5“ უჯრაზე, საიდანაც იგი მუქარას უქმნის თეთრ მეფეს) 13. a3 ლh5! 14. h4 (არც აქ შეიძლება პაიკის მოგება. „e5“-ზე გაცვლის შემდეგ შავები ერთდროულად ემუქრებოდნენ მეფეს შამათით და თავს ესხმოდნენ ლაზიერსაც). 14... მg4 15. მg5 (ბოგოლიუბოვი არასწორ გეგმას ირჩევს. უკეთესი იყო 15. b4) 15... კd7 16. f3 მf6 17. f4 e4 18. ეfd1 (ალიოხინი თვლის, რომ აქ უკეთესი იყო 18. d5!, რათა შავებს არ მისცემოდათ ცენტრში გამაგრების საშუალება) 18... h6 19. მh3 d5! (საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჯერ ალიოხინმა მეტოქის მეფის ფრთა დაასუსტა, ხოლო შემდეგ იწყებს თამაშს საწინააღმდეგო ფრთაზე). 20. მf1 მe7 21. a4 (თეთრები იძულებული არიან ასე ითამაშონ. შავები თვით იმუქრებოდნენ ეთამაშათ 21... a4, შემდეგ b4-ზე ცვლიდნენ „c4“ პაიკს და დასაყრდენს იღებდნენ „d5“ უჯრაზე). 21... მc6! 22. ეd2 მb4 23. კh1 ლe8! (კვლავ ძლიერი სვლაა, რომელიც თეთრებს აიძულებს ან „d5“ პუნქტი დათმონ, ან „a4“ პაიკი შესწირონ.) 24. ეg2 dc 25. bc კ:a4 26. მf2 კd7 27. მd2 b5! 28. მd1 მd3!

ალიოხინი



ბოგოლიუბოვი

(ალიოხინის მიერ განხორციელებული ერთ-ერთი საუკეთესო კომბინაცია) 29. ე:a5 b4! 30. ე:a8 bc! 31. ე:e8 c2!! (ორი ეტლის შეწირვით შავებმა პაიკი ლაზიერად გაიყვანეს. მატერიალური თანასწორობის მიუხედავად თეთრების პარტია წაგებულია, რადგან მათი მეფის ფრთა დაუცველია) 32. ე:f8+ მფh7 33. მf2 c1 ლ+ 34. მf1 მe1! (თეთრი ფიგურების განლაგება კომიკურ შთაბეჭდილებას ტოვებს. ყველა ისინი თავიანთი მეფის გარშემო არიან, მაგრამ ჯეროვნად ვერ იცავენ მას. შავები იმუქრებიან შამათით ერთ სვლაში) 35. ეh2 ლ:c4 36. ეb8 კb5 37. ე:b5 ლ:b5 38. g4 მf3+! 39. კ:f3 ef 40. gf ლe2!! (თეთრები „ცუგცვანგის“ მდგომარეობაში არიან. მათი ყველა სვლა აგებს). 41. d5 მფg8! 42. h5 მფh7 43. e4 მ:e4 44. მ:e4 ლ:e4 45. d6 cd 46. f6 gf 47. ეd2 ლe2! (ამ სვლით მთავრდება ძლიერი მანევრების სერია). 48. ე:e2 fe 49. მფf2 efლ+ 50. მფ:f1 მფg7 51. მფf2 მფf7 52. მფe3 მფe6 53. მფe4 d5+ ბოგოლიუბოვი დანებდა.

ეს პარტია მკაფიო მაგალითია იმისა, თუ რამდენი ენერგიისა და შეუპოვრობის გამოჩენაა საჭირო გამარჯვების მისაღწევად.

რეტი (თეთრები): მფg1, ლc4, ეc1, ეd2, კh1, მc5, მd4, პპ: b5, e2, f2, g3 (11).

ალიოხინი (შავები): მფg8, ლc7, ეa8, ეe8, კg4, მd5, მf6 პპ: b7, c6, f7, g7 (11).

ეს პოზიცია შეიქმნა ალიოხინის პარტიაში ცნობილ ჩეხოსლოვაკიელ გროსმაისტერ რიჰარდ რეტისთან, ბადენ-ბადენის საერთაშორისო ტურნირში, 1925 წელს. რეტი ცნობილი იყო, როგორც ორიგინალური და მებრძოლი სტილის მოჭადრაკე. პარტია კარგი მაგალითია ორ ფლანგზე თამაშისა! თეთრები უტევენ ლაზიერის, ხოლო შავები მეფის ფრთაზე.

შემდეგი სვლით ალიოხინმა ჩაიფიქრა გრძელი, მეტად მახვილგონივრული კომბინაცია, რომელმაც მას საშუალება მისცა გამანადგურებელი იერიში განეხორციელებინა.

1. ... ეe3! 2. მf3? (შეიქმნა მეტად რთული სიტუაცია. ეს სვლა აგებს, როგორც პარტიის შემდგომი მსვლელობიდან დასტურდება. 2. კf3! წინააღმდეგობის გაგრძელების საშუალებას იძლეოდა) 2. ...cb 3. ლ:b5 მc3! 4. ლ:b7 ლ:b7 5. მ:b7 მ:e2+ 6. მფh2 (საინტერესოა ვარიანტი 6. მფf1 მ:g3+ 7. fg კ:f3 8. კ:f3 ე:f3+ 9. მფg2 ეaa3 10. ეd8+ მფh7 11. ეh1+ მფg6 12. ეh3 ეfb3! და იგებენ) 6. ...მe4! (ალიოხინი დიდი ენერგიითა და მახვილგონივრულად ახორციელებს იერიშს. მან მოიფიქრა კომბინაცია, რომლის მიზანია „b7“ მხედრის მოგება. არ შეიძლება ეტლის აღება, რადგან 7. fe მ:d2 და შავები ხარისხს იგებენ) 7. ეc4 მ:f2 8. კg2 კe6! 9. ეcc2. მg4+ 10. მფh3 მe5+ 11. მფh2 ე:f3! 12. ე:e2 მg4+ 13. მფh3 მe3+ 14. მფh2 მ:c2 15. კ:f3 მd4 თეთრები დანებდნენ. თუ 16. ეe3 მ:f3 17. ე:f3 კd5! და იგებენ მხედარს.

ალიოხინი ამ პარტიაზე წერდა:

„მე ამ პარტიას და ბოგოლიუბოვთან 1922 წელს ჰასტინგსში მოგებულ პარტიას ჩემი საჭადრაკო კარიერის უდიდეს მიღწევად ვთვლი.

შემთხვევითი დამთხვევით, არც ერთ მათგანს არ მიუღია „ჯილდო სილამაზისათვის“, რადგან ასეთი ჯილდოები ამ ტურნირებში არ ყოფილა“.

# სხვა და სხვა სხვა სხვა და სხვა სხვა და სხვა



## კარგი საჩუქარი

მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობა „საქართველოს“ მშრომელებმა კარგი საჩუქარი მიიღეს: სოფლის ცენტრში გაიხსნა კულტურის ახალი სახლი.

კულტურის სახლში მოთავსებულია ადგილობრივი რადიოგადაცემათა კვანძი, ნაყოფიერად მუშაობენ დრამატული, ლიტერატურული, ჭადრაკისა და ჭრა-კერვის შემსწავლელი წრეები.

თვითმოქმედმა ანსამბლმა (ხელმძღვანელი გივი შავიშვილი) საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის გახსნის დღისათვის ახალი, მრავალფეროვანი პროგრამა მოამზადა. კოლმეურნეთა საერთო მოწონება დაიმსახურა ანსამბლის მიერ შესრულებულმა ცეკვებმა და სიმღერებმა პარტიასა და სამშობლოზე.

ყურადღებას იპყრობს კულტურის სახლის სააქტო დარბაზი, რომელიც 600 კაცს იტევს. იგი სადად და გემოვნებით არის გაფორმებული. აქვე წარმოებს ფართოეკრანიანი ფილმების დემონსტრირება.

## კარტოფილის ისტორიიდან

კარტოფილის კულტურამ, ვიდრე იგი კაცობრიობის ერთ-ერთი ძირითადი საკვები გახდებოდა, მეტად დიდი და საინტერესო ისტორია გაიარა.

კარტოფილის სამშობლოდ პერუსა და ჩილის მთაგორიანი ადგილები ითვლება.

ევროპაში კარტოფილი 1536 წელს შემოიტანეს, როცა ესპანელები ამერიკის ახლად აღმოჩენილ ტერიტორიას გაეცნენ.

კარტოფილმა, როგორც საკვებმა კულტურამ, ევროპის კონტინენტზე დიდხანს ვერ მოიკიდა ფეხი. მისი მოშენება პირველად ესპანეთში დაიწყეს, აქედან კი იტალიის მთაგორიან ადგილებშიც გავრცელდა.

საფრანგეთში კარტოფილი XVIII საუკუნის ბოლოს შეიტანეს. ერთ-ერთი მეაფთიაქე პარმანტიე თავიდანვე დარწმუნდა ამ კულტურის დიდ კვებით მნიშვნელობაში და შეეცადა ყოველმხრივ შეეწყო ხელი მისი გავრცელებისათვის. პარმანტიემ რამდენიმე სპეციალური შრომა გამოაქვეყნა კარტოფილის სარგებლიანობის შესახებ. გარდა ამისა, იგი ხშირად იწვევდა სტუმრებს, რომლებსაც მხოლოდ კარტოფილისაგან შემზადებულ სხვადასხვა გემრიელ საჭმელებს სთავაზობდა. მაგრამ მისი ყოველგვარი ცდა ამაო იყო. მაშინ პარმანტიემ თხოვნით მიმართა საფრანგეთის დედოფალს მარია ანტუანეტას, რათა მას იძულებითი ზომები მიეღო კარტოფილის კულტურის გასავრცელებლად. დედოფალთან აუდიენციამ მეტად მოულოდნელი და უცნაური შედეგი გამოიღო. მარია ანტუანეტას ძლიერ მოეწონა კარტოფილის ყვავილი და იგი თმებში ჩაიბნია. ამ დღიდან დაიწყო კარტოფილის ყვავილის თავსამკაულად გამოყენების „ეპიდემია“. სასახლის არისტოკრატია კარტოფილის ცოცხალ ყვავილებს რომ ვერ შოულობდა, მას ხელოვნურად ამზადებდა აბრეშუმისა და ხავერდისაგან.

საფრანგეთის დედოფლის მიბაძვით, ევროპის ყველა ქვეყნის დიდებულებმა თავიანთი სასახლეების ბაღებში გააშენეს კარტოფილი, რომელსაც პირველ ხანებში მხოლოდ დეკორაციული მნიშვნელობა ჰქონდა.

რუსეთში კარტოფილი პირველად პეტრე პირველმა შემოიტანა ჰოლანდიიდან. იგი ძალით აიძულებდა გლეხებს მის მოყვანას და ისეთ სიმკაცრეს იჩენდა, რომ მალე საპროტესტო აჯანყებამ იფეთქა. ეს აჯანყება ისტორიაში „კარტოფილის ჯანყის“ სახელწოდებით არის ცნობილი.

კარტოფილმა რუსეთში მხოლოდ 100 წლის წინათ პოვა აღიარება, აქედან კი უკრაინაში, ბელორუსიასა და ამიერკავკასიაშიც გავრცელდა.

საბჭოთა მეცნიერებს ლისენკოს, ეიზფელდსა და სხვებს დიდი ღვაწლი მიუძღვით კარტოფილის ახალი, ყინვაგამძლე და უხვმოსავლიანი ჯიშების გამოყვანაში. მათივე თავდადებული შრომით იქნა გამოყვანილი სამხრეთის ჯიშები, რომლებიც ამჟამად ამიერკავკასიაშია გავრცელებული.

## ობობა — საოცრება

ზოგიერთ ტროპიკულ კუნძულზე ცხოვრობს გიგანტური ობობა, რომელიც ხეებს შუა აბამს ქსელს. ამ ქსელიდან ხშირად მოზრდილი ჩიტებიც კი ვერ აღწევენ თავს.

ობობას ქსელი მეტად მკვრივია: მისი ერთი ძაფი 80 გრამამდე დატვირთვას უძლებს. გარდა ამისა, ეს ძაფი მეტად ელასტიურია და თავის პირველ სიგრძესთან შედარებით ოთხჯერ უფრო გრძლად იწელება.

ტროპიკული კუნძულების მოსახლეობა გიგანტური ობობის ძაფიდან თევზის საჭერ ბადეებსა და სამოსს ქსოვს.

ლუდოვიკო XIV ერთხელ საჩუქრად მიიღო ძვირფასი ხელთათმანები და წინდები, რომლებიც ობობას ძაფისაგან იყო მოქსოვილი.

სხვადასხვა ძვირფასი სამოსის დასამზადებლად ბოლო ხანებში ხელოვნურად დაიწყეს გიგანტური ობობების მოშენება.



## 50 ათასი წლის თესლმა იხარა

ვაშინგტონის ნაციონალურ პარკში ამ რამდენიმე ხნის წინათ მეტად საინტერესო მოვლენა მოხდა: სპეციალურად გამოყოფილ ნაკვეთზე აღმოცენდა ლოტოსი, რომლის თესლი 50 ათასი წლისა იყო.

ლოტოსის თესლის ხნოვანება მეცნიერებმა ნახშირბადის რადიოიზოტოპის საშუალებით დაადგინეს.

ამ საინტერესო მოვლენის შემდეგ სპეციალისტები ფიქრობენ, რომ შესაძლებელია სხვადასხვა მცენარეთა უძველესმა თესლებმაც გაიხარონ.

---

## ერთხელ

შავ ზღვაში დაიჭირეს თევზი, რომელსაც თავზე წყალმცენარე ჰქონდა ამოსული. თევზის სიგრძე 26 სანტიმეტრი იყო, წყალმცენარის სიგრძე კი 15 სანტიმეტრს აღწევდა.

მეცნიერებში დიდი სენსაცია გამოიწვია ამ ამბავმა. სწავლულებმა დაასკვნეს, რომ თევზს ოდესღაც თავის კანი გაეკაწრა, ჭრილობაში შემთხვევით ჩავარდა წყალმცენარის სპორა, რომელიც გაღვივდა და გაიზარდა.

ეს იშვიათი ეგზემპლარი ამჟამად ნოვოროსიისკის ბიოლოგიური სადგურის მუზეუმში ინახება.

*

ერთმა ამერიკელმა ფერმერმა ჟილეტი გომურთან ჩამოკიდა. ახლო მდგომმა ხბომ ჟილეტს ჯიბე მოაგლიჯა. ჯიბეში ოქროს საათი იდო. შვიდი წლის შემდეგ ხანშიშესულმა ძროხამ თავისი სიცოცხლე სასაკლაოში დაამთავრა. ხორცის აქნის დროს საათი იპოვნეს. იგი ისეთ მდგომარეობაში მოხვედრილიყო, რომ სუნთქვის დროს მის მოსამართავ ღილაკს ფილტვები ატრიალებდნენ და განუწყვეტლივ მართავდნენ. შვიდი წლის მანძილზე საათი მხოლოდ 4 წუთით იყო ჩამორჩენილი.

*

1986 წელს ინგლისში (სტაფორდშირში) დაბადებულ ბავშვს ჩარლზ ჩარლზუორტს ოთხი წლის ასაკში წვერ-ულვაში ამოუვიდა. ბავშვი პატარა ტანისა იყო, ცუდად ჰქონდა განვითარებული ქვედა ყბა და თავის ქალის ძვლები. ჩარლზს მალე დაუნაოჭდა სახე, თმა გაუთეთრდა, კანი მოუდუნდა. იგი მოძრაობდა როგორც ღრმა მოხუცი. ეს ბავშვი-მოხუცი შვიდი წლის ასაკში გარდაიცვალა.

*

ამერიკელმა მეცნიერმა კანორმა, რომელიც ორგანიზმზე ალკოჰოლის გავლენას სწავლობდა, მოწყურებულ კატებსა და თაგვებს ასარჩევად მისცა წყალი და არაყი.

ცდებით დამტკიცდა, რომ ცხოველები მეტ უპირატესობას აძლევენ არაყს, ვიდრე წყალს, მაგრამ მათ კარგად იციან ზომიერება და გონების დაკარგვამდე არ თვრებიან.

# კროსვორდი



ჰორიზონტალურად: 7. ფრანგი კომპოზიტორი; 8. წარმოსახვითი ხაზი დედამიწის ბირთვზე; 10. ფრინველის წითელი, დაკბილული, ბრტყელი ხორცოვანი ამონაზარდი; 11. რუსი მოგზაური; 12. მოქმედების, მოღვაწეობის ჩვეული, კარგად ცნობილი გარემო; 13. უმცირესი მყარი ნაწილაკები, ჰაერში ან რაიმე ზედაპირზე არსებული; 17. მუსიკალური ინსტრუმენტი; 18. მთა სომხეთში; 21. საგანი, ცრუმორწმუნეთა გაგებით, ბედნიერების მომტანი; 22. ყვავილების ვაზა; 23. არჩევითი თანამდებობა; 25. ჰომეროსის პოემა; 28. მომწამლავი გაზი; 33. საზეიმო დღესასწაული ძველ საბერძნეთში; 34. ქალაქის ტიპის დასახლება არხანგელსკის ოლქში; 35. ნახევარწრე; 36. ძირითადი მუსიკალური თემის გამეორება სხვადასხვა სახეცვლილებით; 37. მდინარე იტალიაში, რომელიც კეისარმა, წინააღმდეგ სენატისა, გადალახა და დაიპყრო რომი; 40. დაავადება; 41. ათეიზმის მიმდევარი.

ვერტიკალურად: 1. ერთდროული გასროლა რამდენიმე ცეცხლმსროლელი იარაღისა; 2. სხეულის ნაწილი; 3. თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირი ფრანგი ქალი; 4. სპორტული შეჯიბრება ან შეჯიბრებათა სერია; 5. არტისტული მოღვაწეობის დასაწყისი; 6. შეჯიბრების მთავარი მსაჯი კრივში; 9. ხის სახურავიანი ყუთი, თუნუქით შემოჭედილი, საოჯახო ნივთების შესანახავად; 14. ჟ. სანდის ნაწარმოები; 15. ქალთა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე; 16. რისამე ნიმუში; 17. შემოწმება ღვინის ვარგისიანობის დასადგენად; 19. ევროპის ერთ-ერთი სახელმწიფოს დედაქალაქი; 20. კინოხელოვნების ნაწარმოები, განკუთვნილი ეკრანისათვის; 24. მცენარეთა სიცოცხლის პერიოდი, შეზრდა; 26. ხე; 27. ლიტერატურული ნაწარმოები; 29. დიდი დეკორაციული ბაღი; 30. განსაკუთრებული ნიჭის მქონე; 31. საგრილებელი; 32. წყლის ჭურჭელი; 33. თევზი; 39. ცივი იარაღი.

## ოქტომბერი

წლის მეათე თვეა 31 დღით, ძველი რომის კალენდრით კი წლის მერვე თვე, ამიტომაც ეწოდებოდა ოქტომბერი (ბერძნულად ოქტო — რვაა), შემდეგ კი მეათე თვედ იქცა, თუმცა თავისი ძველი სახელწოდება შეინარჩუნა. რომის იმპერატორი კლავდიუს ნერონი (37-68 წ.) ცდილობდა იულიუს კეისრისა და აუგუსტე იმპერატორების მსგავსად ამ თვისათვის თავისი სახელი ეწოდებინა, მაგრამ ვერ მოახერხა. სენატმა მას უარი უთხრა.

საფრანგეთის რევოლუციური კალენდრის მიხედვით წლის პირველი თვე იყო, იწყებოდა 22-24 სექტემბერს და მთავრდებოდა 21-23 ოქტომბერს. ამ თვეს ფრანგებმა შეარქვეს ვანდემიერი, ე. ი. ყურძნის კრეფის თვე.

ძველქართველები ამ თვეს უწოდებდნენ სთვლისას. აღმოსავლეთ საქართველოში ამ თვეს უწოდებდნენ ღვინობისთვეს, შემდეგში ქართველებმა შემოიღეს თვეების ევროპული სახელწოდება და სთვლის სახელთან ერთად იხმარებოდა აგრეთვე ოქტომბერიც.

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე: ლენინის დროშით წინ, კომუნიზმისაკენ!

ნახატი რ. სტურუასი.

ჩანართის გაშლილ გვერდებზე: მოსკოვი ყრილობის წინადღეებში.

ფერადი ფოტო გ. თიკანაძისა.

ნახატი-ხუმრობა ა. ერაძისა





რედაქტორი ა. ძიძიგური

სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე

პ/მგ. მდივანი მ. ჯიბლაძე

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი გ. კეშელავა. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის და პ/მგ. მდივნის — 1-52-69, განყოფილებების — 3-28-42

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ. გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/XI-61 წ. გამომც. № 189, ქაღ. ზომა 70×108 1/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 22.000. შეკვ. № 1752, უე 00110

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. №14.












3-დან 9 ოქტომბრამდე თბილისში „ქარიშხალას“ სტადიონზე ჩატარდა საბჭოთა კავშირის XXXIII ჩემპიონატი მძლეოსნობაში.

ჩემპიონატმა პირველივე დღიდან სპორტულად დაძაბული ხასიათი მიიღო. გამოვლინდნენ ახალი რეკორდსმენები და ჩემპიონები.

შეჯიბრებაზე ბრწყინვალე შედეგს მიაღწია ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლენინგრადელმა ირინე პრესმა (სურათი 3). მან მსოფლიო რეკორდი დაამყარა თანამედროვე ხუთჭიდში (5.137 ქულა). ი. პრესმა ოქროს მედლები მოიპოვა აგრეთვე 80 მეტრზე თარჯრბენში და ესტაფეტაში 100 × 4. მისმა დამ თამარა პრესმა (სურათი 1) ოქროს მედლები მოიპოვა ბირთვის კვრასა და ბადროს ტყორცნაში.

ოლიმპიური თამაშების რეკორდსმენი პ. ბოლოტნიკოვი (სურ. 2) საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა 5.000 და 10.000 მეტრის დისტანციებზე.

მსოფლიო რეკორდსმენმა ვ. ბრუმელმა (სურათი 4) ამ შეჯიბრზე ოქროს მედალი დაისაკუთრა (შედეგი — 2,22 მეტრი).

ა. მიხაილოვი (სურათი 7) ჩემპიონი გახდა 110 და 200 მეტრზე თარჯრბენში.

დამსახურებულად მოიპოვა ორი ოქროს მედალი ძ. იტკინამ (სურ. 6) 100 და 200 მეტრის დისტანციებზე; ამ დისტანციებზე ვაჟთა შორის ჩემპიონი გახდა ე. ოზოლინი (სურათი 5).

ჭოკით ხტომაში გამარჯვებული გამოვიდა უკრაინელი ი. პეტრენკო. მისი შედეგია 4,60 მეტრი (წრეში).











ეროვნული
ბიბლიოთეკა